ქეთევან გოჩიტაშვილი

ქართული ენის მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები

(სახელმძღვანელო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის)

რედაქტორი

ჭაბუკი ქირია

თბილისი
2014

შინაარსი

ორთოგრაფია
1. არსებითი სახელის მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები 3
2. კუმშვასა და კვეცასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები 15
3. საკუთარ სახელთა მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები 19
4. ზედსართავი სახელების მართლწერა; რიცხვითი სახელების მართლწერა. 31
5. ნაცვალსახელების მართლწერა 47
6. წარმოქმნილ სახელთა მართლწერა; კომპოზიტების (რთული სიტყვების) მართლწერა 55
7. ზმნის პირის ნიშანთა მართლწერა 71
8. ზმნისწინთა მართლწერა 82
9. ზმნის უღლებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. . . 86
10. ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში. . . 109
11. ზმნიზედების მართლწერა. 116
12. სათაურების მართლწერა; სიტყვათა შემოკლების წესები 122

პუნქტუაცია
13. წერტილი; კითხვის ნიშანი; ძახილის ნიშანი; კითხვით-ძახილის ნიშანი; მრავალწერტილი; წერტილ-მძიმე, ორწერტილი; ტირე; ფრჩხილები; ბრჭყალები 129
14. მძიმე: მძიმე განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან; მძიმე შერწყმულ წინადადებაში; მძიმე რთულ წინადადებაში 140
15. სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან; სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა 165

ISBN - 99928-0-167-X

I. არსებითი სახელის მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები

1. 1. ორი ერთნაირი ბგერის თავმოყრა ბრუნებისას

ა. ხმოვნების თავმოყრა

ორი ე იწერება ე ხმოვანით ფუძედაბოლოებულ სახელებთან ებ-იან მრავლობითში:

თვეე + ებ -ი →თვეები

დღე + ებ -ი →დღეები

შრე + ებ -ი →შრეები

ორი ი იწერება ია-ზე დაბოლოებულ სახელებში ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში:

ია + -ის → <u>ია</u>ის

გეოგრაფია + -ის → გეოგრაფ<u>ია</u>ის

ფილოსოფია + -ის → ფილოსოფ<u>ია</u>ის

ია + -ით → <u>ია</u>ით

გეოგრაფია + -ით → გეოგრაფ<u>ია</u>ით

ფილოსოფია + -ით →ფილოსოფი<u>ით</u>

ე ხმოვანი არ იკვეცება (არ იკარგება) უცხოური წარმოშობის სახელებში:

კაფე – კაფე-სი/კაფე-თი და არა *კაფ-ის/კაფ-ით*

ბლომანჟე – ბლომანჟე-სი/ბლომანჟე-თი

და არა *ბლომანჟ-ის/ბლომანჟ-ით*

რაღაცა, ვიღაცა ნაცვალსახელების მრავლობითის ფორმებია: *ვიღაც-ები, რაღაც-ები...* ეს ნაცვალსახელები –ა ხმოვნით ბოლოვდება და ორი **–ე**-ს თავმოყრა არ არის სწორი: *<u>ვიღაცეები, რაღაცეები...</u>*

სავარჯიშოები:

I. დაწერეთ სწორი ფორმით ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები:

1. _____ მასწავლებელმა საინტერესო საკითხი აგვიხსნა (ბიოლოგია).
2. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი _____ (ისტორია).
3. _____ სილამაზით ყველა მოიხიბლა (ლალი).
4. _____ ნახტომმა ყველა გაგვაოცა (კალია).

5. _____ გაკვეთილს მხოლოდ ორი ბავშვი ესწრებოდა (გეოგრაფია).
6. ეგვიპტის პირამიდები უძველესი _____ ნაშთია (ცივილიზაცია).
7. მე-5 კლასში ნინო _____ დაინტერესდა (ბიოლოგია).

II. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ჩასვით მრავლობით რიცხვში.

1. ნაწვიმარი ქალაქი _____ აივსო. (გუბე)
2. შენობის წინ მაღალი _____ დგას. (ხე)
3. ეს _____ წელს ალპინისტებმა დალაშქრეს. (კლდე)
4. ჩემს აივანზე მერცხლებმა _____ გაიკეთეს. (ბუდე)
5. _____ შესანიშნავად იცეკვეს. (მოცეკვავე)
6. _____ ვალის დაბრუნებას ითხოვენ. (მევალე)

III. გაასწორეთ შეცდომები:

1. სამსახურიდან მაღაზიაში შევიარე და რაღაცეები ვიყიდე.
2. რაღაც-რაღაცეებში უცებ გავერკვიეთ.
3. ვიღაცეებმა ამ უნივერსიტეტის მოდერნიზაცია განიზრახეს.
4. კვირეებისა და თვეების განმავლობაში გრძელდებოდა ეს უბედურება.

8. თანხმოვნების თავმოყრა

მოთხრობით ბრუნვაში ორი **მ** იწერება, თუ სახელის ფუძე **მ** თანხმოვანზე ბოლოვდება:

კალამ- მა, მარიამ-მა, გურამ-მა, გემ-მა...

მიცემით ბრუნვაში ორი **ს** იწერება, თუ სახელის ფუძე **ს** თანხმოვანზე ბოლოვდება:

უელს-ს, ლექს-ს, ეპისკოპოს-ს, სინდის-ს, კლას-ს...

-ზე თანდებულის დართვისას ორი **ზ** იწერება, თუ სახელის ფუძე **ზ** თანხმოვანზე ბოლოვდება:

ასპარეზ-ზე, ხაზ-ზე, კოვზ-ზე...

თუ სახელის ფუძე **შ**-ზე ბოლოვდება და **-ში** თანდებული დაერთვის, ორი **შ** დაიწერება:

თეფშ-ში, ბალიშ-ში, ქარქაშ-ში, ულვაშ-ში...

-**თან** თანდებულის დართვის შემდეგ გვექნება ორი **თ,** თუ სახელის ფუძე **თ** თანხმოვანზე ბოლოვდება,:

ხალათ-თან, გუმბათ-თან...

თუ სახელის ფუძე ბოლოვდება **ნ** თანხმოვანზე, ნარიან მრავლობითში (სახელობითსა და წოდებითში) დაიწერება ორი **ნ**:

ბრძენ-ნი, ბრძენ-ნო, ხელოსან-ნი, ხელოსან-ნო

თანიან მრავლობითში იწერება ორი **თ,** თუ სახელის ფუძე ბოლოვდება **თ** თანხმოვანზე:

ბარათ-თა, სურათ-თა.

სავარჯიშოები:

I. ჩასვით სიტყვები სათანადო ფორმაში:

1. წყალწაღებული _____ ეჭიდებაო. (ხავსი)
2. მწერალმა მრავალი მოთხრობა მიუძღვნა _____ და _____. (თბილისი; ქუთაისი)
3. _____ და ქაოსმა ქვეყანა განადგურებამდე მიიყვანა. (ომი)
4. ამ _____ სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. (ნივთი)
5. _____ ყველა მსურველი ვერ დაიტია. (გემი)

6. საბალეტო _____ ხანგრძლივი შესვენება ჰქონდა. (დასი)
7. _____ მეტად როკი მიყვარს. (ჯაზი)
8. _____ კავშირი სკოლის მერე აღარ მქონია. (იმერეთი)
9. წამალი _____ დაასხი და ისე დაალევინე ბავშვს. (კოვზი)
10. _____ ბევრი ვიტამინი და სასარგებლო ნივთიერებაა. (ქიშმიში)
11. _____ ვაჟმა სახლის აშენება გადაწყვიტა. (სამი)

II. შეარჩიეთ სათანადო სიტყვები და ჩასვით წინადადებაში სწორი ფორმით:

ზეიმი, ვალსი, ატამი, გრადუსი,

ლომი, ტანსაცმელი

1. _____ თუ არ გაუფრთხილდები, მალე გაგიფუჭდება.
2. _____ წელს კარგად მოისხა.
3. ზოოპარკის ახალმა ბინადარმა _ _____ ბევრი მნახველი მიიზიდა.

4. სიყვარულის დღეს გამართულმა _____ ყველა კმაყოფილი დატოვა.
5. ამ ზაფხულს ჰაერის ტემპერატურამ ორმოც _____ გადააჭარბა.
6. ნინო _____ ნიკასთან ცეკვავს.

III. გაასწორეთ შეცდომები:

1. ნოდარს თამაში დიდი დრო დაეკარგა.
2. ექიმა წამალი გამომიწერა.
3. ამ კალამა ძალიან გაგვაწვალა.
4. ყველა უფროს ელოდებოდა.
5. სამზადის დღეიდანვე უნდა შევუდგეთ.
6. ხუთ ივნის გიორგი ჩამოვა.
7. ის ხუთი წლის წინ გამოვიდა ასპარეზე.

IV. გახაზეთ ის სიტყვები, რომლებსაც თანიან მრავლობითში ორი თ ექნება:

ლოგინი, ყუთი, ბურთი, ხელი, ნაშთი, ყური, ხალათი, ლოთი, კალამი, სავარძელი, ფაქსი, ხლართი, ზვირთი, ტელეფონი, ნივთი, ყვრიმალი, ქურთი, ხმალი, წარმართი, აღმართი, კარგი, დენთი, ზეთი, ასანთი, ექიმი, ნავთი.

V. გახაზეთ სიტყვები, რომლებსაც ნარიან მრავლობითში ორი ნ ექნება:

დღე, ბალი, ბერლინი, ნახშირი, კარი, კიდობანი, ბერძენი, კვერცხი, მხცოვანი, ცხენი, ზღვა, ქარავანი, ოსტატი, ბატონი, ყვავი, ბრძენი, ბატკანი, გერმანია, გეგმა, ყორანი, თხა, მარანი, პირსაბანი, ხელოსანი, მარცვალი, ბარგი, საბანი, ვარსკვლავი, ქვეყანა, ველი, ხე, მეზობელი, წიგნი, ფანქარი, თეატრი, ანბანი.

1. 2. არსებით სახელთა მართლწერასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

ვითარებითი ბრუნვის ნიშანია **-დ** (ხმოვანფუძიან სახელებში), **-ად** (თანხმოვანფუძიანებში) და არა **–თ:**

ნოველად, წიგნად, ლექსად, სასწავლებლად, სანახავად...

არასწორია:

<u>ნოველათ, წიგნათ, ლექსათ, სასწავლებლათ, სანახავათ...</u>

* * *

და კავშირით შეერთებულ სახელთაგან კავშირის წინ მდგომი სახელი დაირთავს ბრუნვის ნიშანს და გავრცობილია *ა*-თი:

დასა და ძმას (და არა: ***<u>დას და ძმას</u>).***

* * *

მიცემითსა და ნათესაობითში ***და*** კავშირით შეერთებულ სახელთაგან თანდებული მომდევნოს დაერთვის:

ზღვასა და ხმელეთზე (და არა: ***<u>ზღვაზე და ხმელეთზე</u>), ან ოჯახისა და საზოგადოებისათვის*** (და არა: ***<u>ოჯახისათვის და საზოგადოებისათვის</u>).***

ხოლო თუ ***და***-ს წინ რამდენიმე სახელია, ყველა დაირთავს თანდებულს, გარდა ***და*** კავშირის წინ მდგომისა:

დეკანი ზრუნავდა პროფესორებზე, სტუდენტებზე, წარმატებასა და მომავალზე.

ზოგჯერ გვხვდება შემდეგი სახის შესიტყვება: ***სიყვარულის გულისთვის, სამშობლოს გულისთვის***... სწორი იქნება, თუ სიტყვა `გულს˜ ამოვიღებთ და დავწერთ / ვიტყვით: ***სიყვარულისათვის, სამშობლოსათვის***..

* * *

ხშირად ***წინ*** და ***უკან*** სიტყვების თანდებულებად გამოყენებისას შეცდომებს ვუშვებთ. ეს შეცდომები რუსულიდან სიტყვასიტყვით თარგმნის შედეგია. სწორია: ***ორი წლის წინ***, ან ***ათასი წლის წინ*** - და არა: ***ორი წლის უკან, ათასი წლის უკან***.

კანცელარიულ მეტყველებაში არსებობს ასეთი გამოთქმა _ ***ამა თუ იმ დოკუმენტის უკანა რიცხვით გაფორმება***, რაც არასწორია. უნდა ვთქვათ: ***წინა (ან გასული) რიცხვით // თარიღით გაფორმება...***

* * *

დაიმახსოვრეთ: არასწორია: ***კენჭისყრები, შიშები, წნევები, შუქები, პრაქტიკები, მუსიკები,***. ისინი მხოლობით რიცხვში უნდა ვიხმაროთ: ***კენჭისყრა, შიში, წნევა, შუქი, პრაქტიკა, მუსიკა...***

სავარჯიშოები:

I. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩას-ვით სათანადო ადგილას:

ჭირში და ლხინში, ჭირსა და ლხინში.

ისინი . . . . . ერთად არიან.

II. გახაზეთ სწორი ფორმები:

1. დედას და მამას _ დედასა და მამას
2. პრეზიდენტსა და მინისტრებს _ პრეზიდენტს და მინისტრებს
3. მინისტრებსა და პარლამენტს _ მინისტრებს და პარლამენტს
4. რეგიონისათვის და ქალაქისათვის _ რეგიონისა და ქალაქისათვის
5. ცენტრისთვის და პერიფერიებისათვის _ ცენტრისა და პერიფერიებისთვის
6. ხალხზე და ქვეყანაზე _ ხალხსა და ქვეყანაზე
7. სოფელზე და ქალაქზე _ სოფელსა და ქალაქზე
8. შვილებისა და შვილიშვილებისათვის _ შვილებისათვის და შვილიშვილებისათვის.

III. გაასწორეთ შეცდომები:

1. სახლი თეთრათ შეღება.
2. დავალებათ ამოცანები გვაქვს.
2. წიგნის გამოსაცემათ სტამბას უნდა დაუკავშირდეთ.
3. გამოცდების ჩასაბარებლათ მზად ვარ.
4. სოფლის გამგებლათ ახალგაზრდა კაცი აირჩიეს.
5. მწერალი ასპარეზე ორი ათეული წლის წინ გამოვიდა.

6. ის მოსამართლეთ მუშაობს.

7. თამადათ ნიკა აირჩიეს.

8. მასწავლებლათ ვმუშაობდი.

2. სახელთა კუმშვასა და კვეცასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები ნათესაობით, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში, ასევე, **-ებ**-იან მრავლობითში იკუმშებიან ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშნის დართვის გამო. ფუძიდან ამოვარდება შემდეგი ხმოვნები: **ა, ე** და **ო** (**ო** ზოგჯერ კვალს ტოვებს **ვ**-ს სახით: *მინდორი _ მინდვრის*).

როგორც წესი, იკუმშება ***ლ, რ, მ, ნ*** თანხმოვნებზე დაბოლოებული ფუძეები. ე. ი. -***ალ, -ამ, -ან, -არ, -ელ, -ემ, -ენ, -ერ, -ოლ, -ომ, -ონ, -ორ*** მარცვლებზე დაბოლოებული სიტყვები იკუმშება:

მეზობელი _ მეზობლის, მეზობლით, მეზობლად

მეომარი _ მეომრის, მეომრით, მეომრად

რძალი _ რძლის, რძლით, რძლად

საბანი _ საბნის, საბნით, საბნად

ზოგიერთ სახელს თავისებურება ახასიათებს კუმშვისას: მაგალითად, სიტყვები: *ამბავი, ღმერთი* და *ხუცესი* ხმოვანთან ერთად, ფურძიდან თანხმოვანსაც კარგავენ:

ამბავი _ ამბ-ის, ამბ-ით, ამბ-ად

ხუცესი _ ხუც-ის, ხუც-ით, ხუც-ად

ღმერთი _ ღმრთის // ღვთის, ღმრთ-ით // ღვთ-ით

ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები ნათესაობითსა და მოქმედებითში მოიკვეცენ ორ ხმოვანს: ა-სა და ე-ს. ებ-იან მრავლობითში კი იკვეცება მხოლოდ –ა:

კატა _ კატ-ის, კატ-ით – კატ-ებ-ი

დღე _ დღ-ის, დღით – მაგრამ Dდღე-ებ-ი

უკვეცელია ი-ზე, ო-სა და უ-ზე დაბოლოებული სიტყვები (ერთადერთი გამონაკლისია *ღვინო – ღვინ-ის*):

ჩაი – ჩაი-ს – ჩაი-თ

ოქრო – ოქრო-ს(ი), ოქრო-თი;

წყარო – წყარო-ს(ი), წყარო-თი;

ყრუ – ყრუ –ს(ი), ყრუ-თი...

ზოგიერთი -ა მაწარმოებლიანი სახელი და ე-ზე დაბოლოებული ნასესხები სახელებიც არ იკვეცება:

კარატე-ს პროპაგანდა, დედოფალა-ს სამოსი, ნაცარქექია-ს ზღაპარი, ჭრიჭინა-ს ჭრიჭინი, წითელა-ს ვირუსი, კაშნე-ს მოხვევა, კაფე-ს პატრონი, კუპე-ს დაჯავშნა, ტირე-ს გამოყენება...

ზოგი სახელი ერთდროულად იკუმშება და იკვეცება კიდეც. კუმშვად-კვეცადი სახელებია:

მოყვარე _ მოყვრ-ის, მოყვრ-ით, მოყვრ-ად

პეპელა _ პეპლ-ის, პეპლ-ით, პეპლ-ად

ბეგარა _ ბეგრ-ის, ბეგრ-ით, ბეგრ-ად

ტომარა _ ტომრ-ის, ტომრ-ით, ტომრ-ად

ქარხანა _ ქარხნ-ის, ქარხნ-ით, ქარხნ-ად

ქვეყანა _ ქვეყნ-ის, ქვეყნ-ით, ქვეყნ-ად

ფანჯარა _ ფანჯრ-ის, ფანჯრ-ით, ფანჯრ-ად

სავარჯიშოები:

I. მოცემული სიტყვებიდან შეარჩიეთ სწორი ფორმა და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

ამბის, ქვეყანის, მხარის, ქარხანის, ხელმძღვანელის,

ქვეყნის, ქარხნის, ამბავის, ხელმძღვანლის, მხრის

1. კარგი . . . . . გაგებამ ყველა გაახარა.
2. ამ ქალაქში ღვინის ახალი . . . . . აშენება გადაწყვიტეს.
3. . . . . წინსვლა ყველასთვის მნიშვნელოვანია.
4. . . . . ტკივილი მაწუხებს.

5. მერაბს . . . . . პოსტი შესთავაზეს.

6. ჩვენ ამ . . . . . მოქალაქეები ვართ.

II. გადახაზეთ არასწორი ფორმები:

1. გუშინ სტუმრად ვიყავი.

2. ათი წლის უკან ის ამერიკაში ცხოვრობდა.

3. 2002 წელში ჩვენ ახალ სახლში გადავედით.

4. გასულ წელს რამდენიმე ფილმი გადაიღეს.

5. აპრილის თვეში მიიღეს გადაწყვეტილება პენსიების გაზრდის შესახებ.

6. ის პრაქტიკებზე კლინიკაში დადის.

7. შუქების პრობლემა აღარ არის.

8. კენჭისყრა ხვალ გაიმართება.

3. საკუთარ სახელთა მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები

ადამიანისა და გეოგრაფიული სახელები მართლწერის თვალსაზრისით თავისებურებებს წარმოაჩენენ..

* * *

ისევე, როგორც საზოგადო სახელები, გეოგრაფიული სახელებიც იკუმშება და იკვეცება.

მაგალითი:

ჭიათურა _ ჭიათურ-ის

საჩხერე _ საჩხერ-ის

ქსანი _ ქსნ-ის

მტკვარი _ მტკვრ-ის

დილომი _ დილმის

წილკანი _ წილკნ-ის

ა-ზე დაბოლოებული უცხოური გეოგრაფიული სახელების ბრუნებისას მართებულია ა მოკვეცილი ფორმები ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში: ***უგანდ-ის, ინდიან-ის, ჯორჯი-ის, იუტ-ის, ალაბამ-ის...*** შტატები, ***ბარსელონ-ის*** ფესტივალი და ა. შ. (და არა: ***<u>ჯორჯიას შტატი</u>***...). შესაბამისად: ***ბარსელონ-იდან, კამბოჯი-იდან...*** (და არა: ***კამბოჯადან გვესტუმრა***...).

* * *

ადამიანის საკუთარი სახელები არც იკუმშება და არც იკვეცება. მაგ. შეცდომაა: ***რუსუდნის, ფარსადნის***... სწორია: ***რუსუდანის, ფარსადანის*** სასახლე...

ადამიანის საკუთარი სახელების მოთხრობითში, მიცემითსა და წოდებითში გამოყენებისას **ი**-ზე დაბოლოებული სახელების ბრუნებისას უნდა გავარკვიოთ, **-ი** ფუძისეულია თუ ბრუნვის ნიშანი. მაგ.: **ი** ფუძისეულია: ***დიმიტრი, სერგი, აკაკი, გიორგი, გივი, ირაკლი, ლალი, ნანული, მერი***...

-ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია: ***მერაბ-ი, ვახტანგ-ი, რამაზ-ი, თენგიზ-ი, ლევან-ი, ეთერ-ი, თამარ-ი, მარიამ-ი***...

თუ საკუთარ სახელს გვართან ერთად ბრუნებისას ჩამოშორდება **-ი**, მაშინ ეს **-ი** ბრუნვის ნიშანია. აქედან გამომდინარე, მოთხრობითში იქნება: ***დიმიტრი-მ, მერი-მ***, მაგრამ: ***ოთარ-მა, ლევან-მა*** (და არა: ***ოთარიმ, ლევანიმ***).

მიცემითში იქნება: ***დიმიტრი-ს, მერი-ს,*** მაგრამ: ***რამაზ-ს, ნესტანს-ს*** (და არა: ***რამაზის, ნესტანის*** ვუთხარი...).

წოდებითში საკუთარი სახელები ბრუნვის ნიშნის გარეშე უნდა იყოს წარმოდგენილი:

აკაკი! ემზარ! დალი! ქეთევან! ნანა! მზია! ელენე! ლეილა!

გვარების დაწერილობისას გაითვალისწინეთ შემდეგი: **ი**-ზე დაბოლოებულ უცხოურ გვარებში თუ -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია (***აინშტაინ-ი, პუტინ-ი, ლერმონტოვ-ი, მან-ი***), მოიკვეცება და მოთხრობითსა და მიცემითში იქნება: ***პუტინ-მა, პუტინ-ს***...

თუ **-ი** ფუძისეულია (უმეტესად, იტალიური და ბერძნული გვარები), იგი არ იკარგება და გვექნება: ***მასტროიანი, ამფიმიადი, ვერდი, ჩერნიშევსკი, ვივალდი, გარიბალდი, ფელინი, მანიანი, დიმიტრიადი... მანიანიმ, ფელინიმ, ბოტიჩელიმ***... (და არა: ***<u>მანიანმა, ბოტიჩელმა</u>***...).

წოდებითში ფუძის სახით იქნება: ***ამფიმიადი! ვერდი! პაგანინი!***

* * *

ქართული გვარებიდან **-ძე**-ზე ან **-ე**-ზე დაბოლოებულები იკვეცებიან ნათესაობითსა და მოქმედებითში:

ბრეგვაძე _ ბრეგვაძ-ის, ბრეგვაძ-ით

მენაბდე _ მენაბდ-ის, მენაბდ-ით

მებუკე _ მებუკ-ის, მებუკ-ით

-ე-ზე დაბოლოებული უცხოური გვარები უცვლელია:

ეზოპე-ს *ენა, გოეთე*-ს შემოქმედება, *ბროსე*-ს იუბილე,

ჰაინე-ს ლირიკა.

-ია, -უა, -ვა-ზე დაბოლოებული გვარები იკვეცება მხოლოდ მრავლობით რიცხვში:

გუნია _ გუნი-ებ-ი

გაბუნია _ გაბუნი-ებ-ი

მზარელუა _ მზარელუ-ებ-ი

ქარდავა _ ქარდავ-ებ-ი

მონიავა _ მონიავ-ებ-ი

თანხმოვანფუძიან გვარებს წოდებითში დაერთვის **-ო:**

აბრამიშვილ-ო! ბოდაველ-ო! არაბულ-ო! ჯიბუტ-ო!

ხმოვანფუძიან გვარებთან ბრუნვის ნიშანი არ იწერება:

მამალაძე! გოგელია!

იკუმშება შემდეგი გვარები:

წერეთლ-ის, წერეთლ-ით, წერეთლ-ად

მაჩაბლ-ის, მაჩაბლ-ით, მაჩაბლ-ად

ცაგარლ-ის, ცაგარლ-ით, ცაგარლად

ბოდავლ-ის, ბოდავლ-ით, ბოდავლ-ად

* * *

ადამიანის ვინაობის აღნიშვნისას ჯერ სახელი იწერება, შემდეგ მამის სახელი და ბოლოს - გვარი. საერთოდ, მამის სახელი უნდა მოსდევდეს საკუთარ სახელს:

არჩილ ლევანის ძე ავალიანი ან ***ავალიანი არჩილ ლევანის ძე.***

სახელისა და გვარის ერთად ბრუნებისას მარტო გვარი იბრუნვის:

გივი ბერიკაშვილ-ი

გივი ბერიკაშვილ-მა

გივი ბერიკაშვილ-ს

გივი ბერიკაშვილ-ის

გივი ბერიკაშვილ-ით

გივი ბერიკაშვილ-ად

გივი ბერიკაშვილ-ო

სიის შედგენისას ჯერ გვარი იწერება, შემდეგ _ სახელი. სახელი უნდა იყოს წოდებით ბრუნვაში, რადგან ამ შემთხვევაში იგი მიმართვის ფორმაა:

აბუთიძე მერაბ, ბერძენიშვილი რამაზ, გიგაშვილი ეთერ...

და არა:

<u>აბუთიძე მერაბი, ბერძენიშვილი რამაზი, გიგაშვილი ეთერი</u>...

მაგრამ წინადადებაში იგივე სახელი სათანადო ბრუნვაში იქნება:

თანამდებობიდან გაათავისუფლეს ჯორბენაძე გურამი.

* * *

დაიმახსოვრეთ:

- დაუშვებელია საკუთარ სახელთა შემოკლებანი, სადაც გვარის ნაცვლად გვხვდება წოდება: ***დ. გარეჯელი, გ. ხანძთელი, გ. მერჩულე***.
- არ შეიძლება ქალაქის ქუჩებისა თუ მოედნების ან დაწესებულებების სახელწოდებებში გამოყენებულ ქართველ მეფეთა თუ ცნობილ მოღვაწეთა სახელების შემოკლება. მაგ.: ***დ. აღმაშენებლის გამზირი, თ. მეფის ხიდი***, ***ვ. ფშაველას გამზირი***, ***თ. მღვდლის ქუჩა...***
- როცა საკუთარ სახელებს წინ უძღვის წოდება-პროფესიის სახელები (***ექიმი, პროფესორი, თავადი, გენერალი***....), მხოლოდ სახელობითსა, მოთხრობითსა და წოდებით ბრუნვებში ეთანხმებიან სახელს. თუ გვარს წინ უძღვის ბატონი ან ქალბატონი, ესენი ისევე იბრუნვიან, როგორც ნებისმიერი თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი სახელები, ანუ ნათესაობითსა და მოქმედებითში **-ი** დაბოლოება აქვთ.

პროფესორი	ცისკაძე	ბატონ-ი	თეიმურაზ-ი
პროფესორ-მა	ცისკაძე-მ	ბატონ-მა	თეიმურაზ-მა
პროფესორ	ცისკაძე-ს	ბატონ	თეიმურაზ-ს
პროფესორ	ცისკაძ-ის	ბატონ-ი	თეიმურაზ-ის
პროფესორ	ცისკაძ-ით	ბატონ-ი	თეიმურაზ-ით
პროფესორ	ცისკაძე-დ	ბატონ	თეიმურაზ-ად
პროფესორ-ო	ცისკაძ-ე!	ბატონ-ო	თეიმურაზ!

მსაზღვრელის ა ხმოვნით გავრცობა აუცილებელია, როცა ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი მოსდევს სახელს:

მოთხრობა ქიაჩელისა, სპექტაკლი მარჯანიშვილისა,

ლექსი ტაბიძისა...

- სასულიერო პირთა მიმართვის დროს პარალელურად იხმარება ფორმები: *მამა საბა! ან მამაო საბა!* მაგრამ შეცდომაა *მამაო* ფორმის გამოყენება იქ, სადაც მიმართვა არ გვაქვს: *<u>მამაო საბა საუბრობს</u>*. ეს იგივეა, რომ ვთქვათ: *<u>ბატონო საბა საუბრობს</u>*. ასე რომ, უნდა ვთქვათ და ვწეროთ: *მამა საბა საუბრობს, მამა საბამ ბრძანა* და ა. შ.

სავარჯიშოები:

I. გახაზეთ სწორი ფორმები:

მერაბმა, რამაზიმ, ლევანს, ოთარმა, ნესტანიზე, თენგიზ! მერაბიმ, ლევანმა, რამაზიზე, თამარიმ, ეთერი! ლევან! ეთერმა, ნოდარიმ, რამაზი! გურამისთან, ზაურმა, დავით! თამაზზე, ბაქარმა, ზურაბ! ელდარისთან, ნესტანმა, ეთერ! ელდარი! თემურმა.

II. გაასწორეთ შეცდომები:

1. გუშინ ჭიათურას მერი უცხოელ სტუმრებს შეხვდა.
2. ისინი ბარსელონას გარეუბანში დასახლდნენ.
3. ნოდარ არაბიძე იუტას უნივერსიტეტში მუშაობს.
4. წილკანის მოსახლეობა სოფლის მეურნეობით ირჩენს თავს.
5. დიღომის მოსახლეობა დეპუტატს შეხვდა.
6. მოსახლეობის ზრდა ალაბამას შტატშიც შეინიშ-ნება.
7. ავლაბარის რეზიდენცია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვეს.
8. მცხეთას აღდგენა შარშან დაიწყეს.
9. დიღომის ხილი ძალიან მიყვარს.
10. იორის პირას აგარაკი მაქვს

III. გაასწორეთ შეცდომები:

1. თოდაძეს თხოვნას დავაკმაყოფილებთ.

2. მაჩაბელი, შენი რიგია!

3. თ. მღვდლის ქუჩაზე დიდი მოძრაობაა.

4. ქალბატონ თამარის გამოსვლა არ მომეწონა.

5. ცაგარელის გადაწყვეტილება მისაღებია.

ქართველი მკითხველისათვის.

6. ჯაფარიძეს გამოსვლა ძალიან მომეწონა.

7. გ. ხანძთელის აშენებული ტაძრები დღესაც დგას.

8. პრეზიდენტი ბუშის ვიზიტი ძალიან მნიშვნელო-

ვანია.

9. გეგეჭკორი, თქვენ გელოდებით.

10. გენერალი ახალაიას მუშაობით უცხოელებიც

დაინტერესდნენ.

11. თ. მეფის ქუჩაზე ბევრი ახალი შენობაა.

12. ნერგაძე ზაურ ცნობილი პედიატრია.

13. პარლამენტარი წიკლაურის სატელევიზიო გამოსვლა

გადაიდო.

14. მეზვრიშვილი, ეს დავალება თქვენ უნდა შეასრულოთ!

15. აბულაძეთი ყველა კმაყოფილია.

16. გამგეობის ოფისი თ. მეფის ქუჩაზე მდებარეობს.

17. შ. რუსთაველის პოემა ქართველი ერის სიამაყეა.

18. მხატვარი გუდიაშვილის ნახატები საკმაოდ ძვირია.

IV. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სწორი ფორმით ფრჩხილებში მოცემული სიტყვები:

1. . . . . სკოლაში დაიწყო მუშაობა. (ეთერი)

2. . . . . არ უყვარს, როცა საუბარს აწყვეტინებენ. (რამაზი)

3. . . . . სახლი ააშენა. (ნესტანი)

4. . . . . ბევრი საქმე აქვს. (ომარი)

5. . . . . მანქანა შარშან იყიდა. (დავითი)

6. . . . . გუშინ დამირეკა. (სიმონი)

7. . . . . ახალი ტელეფონი აქვს. (თენგიზი)

8. . . . . გაცნობა ვერ მოვასწარი. (ცაგარელი)

V. გადახაზეთ არასწორი ფორმები:

მერაბისთან _ მერაბთან

ჯემალისთან _ ჯემალთან

რამაზზე _ რამაზიზე

ანზორისთან _ ანზორთან

გურამთან _ გურამისთან

ოთარისთან _ ოთართან

თამაზიზე _ თამაზზე

ნესტანიზე _ ნესტანზე

ნოდარზე - ნოდარიზე

დიმიტრიზე _ დიმიტრზე

გიორგიზე _ გიორგზე

ლევანზე _ ლევანიზე

ბაკურთან _ ბაკურისთან

ეთერზე _ ეთერიზე

VI. გაასწორეთ შეცდომები:

1. ლევანი როინიშვილი ცნობილი კულინარია.
2. ემზარი ხაბურზანიამ გამოცდები ჩააბარა.
3. ხვალ ექიმი შალამბერიძის მორიგეობაა.
4. ნესტანი აბდუშელიშვილის შვილი ჩემი მეგობარია.
5. ბატონ შალვას მიერ შემოთავაზებულმა გეგმამ დაგვაფიქრა.
6. ხვალ გაიმართება პრეზენტაცია ჩვენი წიგნის.

7. არქიტექტორი ნამორაძეთი დამკვეთები კმაყოფილები იყვნენ.
8. გუშინ ბატონ ვალერის იუბილე გაიმართა.
9. ცერცვაძეთი უკმაყოფილო ვარ.
10. ბუჩუკური, რას აპირებ?

VII. გახაზეთ მცდარი ფორმები:

1. ნოდარი აბესაძე ახალი ლექტორია.
2. ცნობილი მეცნიერი ზურაბი ლომთაძე მივლინებაშია.
3. გურამი, გაკვეთილები ისწავლე! _ უთხრა ეკამ შვილს.
4. ქალბატონო ეთერი, სად მიბრძანდებით?
5. ლეონი მელქუმიანი ინგლისში გაემგზავრა.
6. იცნობ ბაგრატი ზალალიანს?

VIII. გაასწორეთ შეცდომები:

1. მამაო ბაგრატი, გელოდებიან.
2. შ. რუსთაველის პოემა `ვეფხისტყაოსანი~ ბრწყინვალე ნაწარმოებია.
3. თ. მეფე ქართველთა საყვარელი მეფეა.
4. ვ. ფშაველას შემოქმედება საინტერესოა.

5. აკაკი წერეთელის ლექსებზე სიმღერები იქმნება.
6. დ. აღმაშენებლის გამზირზე ვცხოვრობ.
7. მამაო გიორგიმ დამირეკა.

4. ზედსართავი და რიცხვითი სახელების მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები

4. 1. ზედსართავი სახელების მართლწერა

ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები **უ- ... -ეს**, **მო- ... –ო** აფიქსების დართვით იწარმოება (*უ-მშვენიერ-ეს-ი; მო-დიდ-ო, უ-წმინდ-ეს-ი, მო--ო*); რამდენიმე ზედსართავი სახელი თავისებურებას ავლენს ხარისხის ფორმათა წარმოებისას; კერძოდ, მთლიანად იკარგება ბოლოკიდური მარცვალი (-**ილ** ან -**ელ**):

სქელ-ი – მო-სქ-ო, უ-სქ-ეს-ი;

ტკბილ-ი - მო-ტკბ-ო, უ-ტკბ-ეს-ი;

გრძელ-ი - მო-გრძ-ო, უ-გრძ-ეს-ი.

ოდნაობითის ფორმებს თავისებურად აწარმოებს შემდეგი ზედსართავი: *წითელი, ყვითელი*. *მო-წითალ-ო, მო-ყვითალ-ო* (და არა *მოწითელო, მოყვითელო*).

ზედსართავი სახელი *ცუდი* აღმატებითი ხარისხის ფორმას შემდეგნაირად აწარმოებს: არასწორია *უ-ცუდ-ეს-ი*; სწორი ფორმაა – *უარესი*.

ზედსართავი სახელის კარგი აღმატებითი ხარისხის ფორმაა *საუკეთესო* და არა *უკარგესი*...

* * *

ქართულში საგნის თვისების აღსანიშნავად ხშირად იხმარება **-ურ** ბოლოსართი, თუმცა, ფუძეში თუ **რ** ბგერაა, აუცილებლად გვექნება ბოლოში *-ულ*.

თბილის-ურ-ი, კახ-ურ-ი, ქალაქ-ურ-ი მაგრამ *_ გორ-ულ-ი.*

თუ სახელი -**ია**-ზე თავდება, დაბოლოებად გვექნება *-იურ / -იულ:*

გეოგრაფია _ გეოგრაფიულ-ი,

ზოოლოგია _ ზოოლოგიურ-ი...

* * *

თუ სახელი -**იკა**-ზე თავდება, მაშინ გვექნება *–იკურ / -იკულ:*

რომანტიკა _ რომანტიკული

სპეციფიკა _ სპეციფიკური

დინამიკა _ დინამიკური

მიმიკა _ მიმიკური

დაიმახსოვრეთ: ***ტიპი, ფაქტი*** სიტყვებისაგან ნაწარ-მოები ზედსართავი სახელების სწორი ფორმები იქნება:

ტიპ-ურ-ი ან ტიპ-ობრივ-ი (და არა: ***ტიპიური***)

ფაქტ-ობრივ-ი (აქედან გამომდინარე, ***ფაქტობრივად*** და არა: ***ფაქტიურად***).

* * *

დაიმახსოვრეთ: ერთი და იმავე ძირისგან განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვები მიიღება სხვადასხვა დაბოლოების დართვით. მაგ: ***ეკონომია _ ეკონომი-ური*** (ფულის ხარჯვა ეკონომიურად, ყაირათიანად) და ***ეკონომიკა _ ეკონომ-იკ-ურ-ი*** (ეკონომიკური პოლიტიკა).

* * *

დაიმახსოვრეთ: ფუძეზე -***ებრივ*** სუფიქსების დართვისას ზოგჯერ ხმარობენ ზედმეტ **ო** ხმოვანს. მაგ: ***სამსახურ-ე-ო-ბრივ-ი, მოწამე-ო-ბრივ-ი, საფეხურ-ე-ო-ბრივი***, რაც არასწორია. უნდა ვთქვათ და ვწეროთ:

სამსახურ-ებრივ-ი

საფეხურ-ებრივ-ი

მოწამ-ებრივ-ი.

* * *

დაიმახსოვრეთ:

მომსახურ-ებ-ა (და არა: *<u>მომსახურ-ე-ო-ბ-ა</u>*)

განზოგად-ებ-ულ-ი, განზოგად-ებ-ა (და არა: *<u>განზოგადოე-ბული, განზოგად-ო-ება</u>*).

* * *

ხშირად გვხვდება შეცდომები უცხოური წარმომავლობის სახელების წარმოებისას.

სწორი ფორმებია:

პროვინცი-ულ-ი (და არა *პროვინცი-ალ -ურ-ი)*

*ტერიტორი-ულ-ი (*და არა *ტერიტორი-ალ-ურ-ი)*

*ექსპერიმენტ-ულ-ი (*და არა *ექსპერიმენტ-ალ -ურ-ი)*

*ფუნდამენტ-ურ-ი (*და არა *ფუნდამენტ-ალ-ურ-ი)*

*პარადოქს-ულ-ი (*და არა *პარადოქს-ალ-ურ-ი)*

მაგრამ –**ალ** აუცილებელია შემდეგ ფორმებთან:

ცენტრალური

თეატრალური

ფორმალური

* * *

ზოგჯერ **-ულ** მაწარმოებლიან ზედსართავებთან ზედ-მეტად ჩართულია **-ირ** მარცვალი: ***<u>სპეციალიზირებული, ამ-ორტიზირებული, დესტაბილიზირებული,</u>*** რაც არასწორია... ძირეული სიტყვებია: **სპეციალიზაცია, ამორტიზაცია, დესტაბილიზაცია**. სწორად წარმოქმნილი სიტყვები იქნება:

სპეციალიზ-ებ-ულ-ი

ამორტიზ-ებ-ულ-ი

დესტაბილიზ-ებ-ულ-ი

ზედსართავის წარმოებისას ყურადღება უნდა მიექცეს ამოსავალ ფუძეს: ***ლეგენდ-არ-ულ-ი*** და არა: ***<u>ლეგენდალური</u>***; ***ელემენტ-არ-ულ-ი*** და არა ***<u>ელემენტალური</u>***; ***სტაციონარ-ულ-ი, ექსტრა-ორდინარ-ულ-ი*** და ა. შ.

* * *

დაიმახსოვრეთ:

სწორი ფორმებია:

მო-ღიმ-არ-ი, მო-ქმ-ედ-ი, და არა მო-მ-ღიმარი, მო-მ-ქმედი.

სწორია: ***მართლმადიდებელი ეკლესია და არა მართლ-მადიდებლური ეკლესია..***

* * *

როცა ზედსართავი სახელი გვაქვს მსაზღვრელად, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ის ნაწილობრივ დაირთავს ბრუნვის ნიშანს:

ნათ. დიდ-ი ქალაქ-ის

მოქ. დიდ-ი ქალაქ-ით

(არასწორია: *<u>დიდის ამბით, ჩემის აზრით</u>*...).

მიცემითსა და ვითარებითში ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

მიც. დიდ ქალაქ-ს

ვით. დიდ ქალაქ-ად

გამონაკლისია პროფესიისა და წოდების აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში ფუძის სახით არიან წარმოდგენილნი:

მხატვარ ამირეჯიბ-ს, ამირეჯიბ-ის...

პროფესორ ხელაძ-ით, ხელაძე-დ...

სავარჯიშოები:

I. გადახაზეთ მცდარი ფორმები:

მოწითლო; უცუდესი; უგრძესი; მოგრძელო; უმოკლესი; მოყვითელო; ულამაზესი; მოსქელო; მოგრძო; უტკბესი; უგრძელესი; უსაყვარლესი; უსქესი; უტკბილესი; მოსქო.

II. გაასწორეთ შეცდომები:

1. ეკონომიური პოლიტიკა წარმატებულია.

3. ქვეყანას ტერიტორიალური პრობლემები აქვს.

4. მუსიკამ ესთეტიური სიამოვნება მოგვანიჭა.

5. ლირიულ ლექსებზე სიმღერები დაწერეს.

6. ის სამსახურეობრივი მოვალეობის კარგად შეს-რულებისათვის დააჯილდოვეს.

7. ფუნდამენტალური ცოდნა გამოამჟღავნა.

9. ფიზიკოსმა განზოგადოებული დასკვნები ჩამოაყალიბა.

10. სპეციალიზირებულ სკოლაში ნიჭიერი ბავშვები სწავლობენ.

11. დესტაბილიზირებული მდგომარეობა მოსახლეობის პრობლემაა.

12. მათ პარადოქსალური გადაწყვეილება მიიღეს.

III. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით პრობლემური საკითხი *შესაბამისი ბრუნვის ფორმით:*

. . . . . საზოგადოების დაინტერესება გამოიწვია.

IV. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით დამნაშავის სიტყვა *შესაბამისი ბრუნვის ფორმით:*

. . . . . ყველა აღაშფოთა.

V. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით თანამედროვე საწარმო *შესაბამისი ბრუნვის ფორმით:*

. . . . . გახსნას მერიც დაესწრო.

VI. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სამედიცინო მომსახურება *შესაბამისი ბრუნვის ფორმით:*

. . . . . მიღება ყველას უნდა შეეძლოს.

VII. გაასწორეთ შეცდომები:

1. ხელმძღვანელობა განხილულ პროექტის დამტკიცებას აპირებს.
2. ყოფილ მეუღლეებმა შეხვედრა გადაწყვიტეს.
3. პედაგოგებისათვის გაორმაგებულ ხელფასების გაცემა იანვრიდან დაიწყება.

4. სამინისტროს ბევრ გადაწყვეტილებით პარლამენტი უკმაყოფილოა.

5. ამერიკელ ტურისტების უსაფრთხოება გარანტირე-ბულია.

6. ფოტოსურათი მოყვარულ ფოტოგრაფის გადაღებულია.

7. შარშანდელ გვალვამ მოსავალი გააფუჭა.

VIII. გახაზეთ სწორი ფორმები:

1. ტიპური, ტიპიური
2. ლეგენდალური, ლეგენდარული
3. სტაციონალური, სტაციონარული
4 პროვინციალური, პროვინციული
5. ექსტრაორდინალური, ექსტრაორდინარული
6. ამორტიზირებული, ამორტიზებული.
7. ტერიტორიალური, ტერიტორიული
8. ექსპერიმენტალური, ექსპერიმენტული
9. რეგიონული, რეგიონალური
10. პარადოქსული, პარადოქსალური.

4. 2. რიცხვითი სახელების მართლწერა

დაიმახსოვრეთ:

ასეულების აღმნიშვნელი სახელები ერთად იწერება:

ორასი, სამასი, ხუთასი, ცხრაასი...

* * *

და კავშირით შეერთებული რთული რიცხვითი სახელები, ასევე, ასეულების აღმნიშვნელი რიცხვები იწერება ერთად:

ოცდახუთი

ოთხმოცდათექვსმეტი

სამასი

ხუთასი...

* * *

რიცხვითი სახელები ასის ზევით იწერება ცალ-ცალკე:

ას ხუთი

ორას ცხრა

სამას ოთხმოცდაექვსი

ორი ათას ოთხას ოცდასამი...

* * *

რიცხვითი სახელები *ათასს* სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა:

სახელობითი: ოთხ-ი ათას-ი

მოთხრობითი: ოთხ-ი ათას-მა

მიცემითი: ოთხ-ი ათას-ს

ნათესაობითი: ოთხ-ი ათას-ის

მოქმედებითი: ოთხ-ი ათას-ით

ვითარებითი: ოთხ-ი ათას-ად

* * *

რიგობითი რიცხვითი სახელის არაბული ციფრებით გამოხატვისას თუ რიცხვითი სახელი **მე**-თი იწყება, **მე**-თავსართი დეფისით გამოიყოფა: ***მე-5, მე-17, მე-300.***

* * *

თუ რიგობითი რიცხვითი სახელი და კავშირითაა შეერთებული და **მე-** მაწარმოებელი შიგნითაა მოქცეული, მაშინ ციფრს დეფისით გამოეყოფა **-ე** ბოლოსართი: ***23-ე, 58-ე, 1125-ე*** (შეცდომაა: ***<u>მე-3-ე, მე-18-ე</u>***... ან – ***<u>3-ე, 18-ე, მე23, მე-96</u>***).

* * *

რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელი რიგობითად გადაქცევისას დაიწერება შერწყმულად: ***შვიდასმეჩვიდმეტე, ხუთასმეთხუთმეტე, ასმეორე...***

* * *

რიგობითი რიცხვითი სახელის რომაული ციფრებით გამოხატვისას არ გამოიყოფა არც პრეფიქსი, არც სუფიქსი: ***V (მეხუთე), X (მეათე), L (ორმოცდამეათე), C (მეასე), D D(მეხუთასე), M (მეათასე).***

* * *

I (პირველი) არაბული ციფრით გამოიხატება ასე: ***1-ლი***. მისგან ნაწარმოები ***<u>ასპირველი</u>*** ფორმა არასწორია. სწორია: ***ასმეერთე***.

* * *

რიცხვის ციფრით გამოხატვისას ბრუნვის ნიშანი, გარდა სახელობითისა, ციფრს დეფისით გამოეყოფა: ***3-მა კაცმა, გიწერ 5-ს, გიორგი XI-ს, ვახტანგ VI-ს...***

* * *

თუ რიგობითი რიცხვითი სახელი არაბული ციფრითაა გადმოცემული, **-ე** მაწარმოებელი და ბრუნვის ნიშანი ერთად იწერება: ***22-ემ, 75-ეს, 30-ედ.***

ასეთივე წესით დაერთვის რიცხვით სახელს ნაწილაკიც და თანდებულიც: ***მე-4-ში, მე-5-ზე, XXI-ში, 22-ეში, 45-ესთან...***

* * *

დაიმახსოვრეთ, შეცდომაა: ***<u>ორთავე, ორთავენი ფორმები. უნდა იყოს: ორივე, ორივენი</u>***...

რაოდენობით რიცხვით სახელებს ჯერობის გამოსახატავად უნდა დავურთოთ -***ჯერ*** ბოლოსართი (***ორ-ჯერ, ათ-ჯერ, ათას-ჯერ***) გამონაკლისია ***ერთ-ხელ***. ე. ი. არასწორია ***ერთჯერ***, სწორია: ***ერთხელ,*** მაგრამ - ***ორჯერ, სამჯერ*** და ა. შ.

* * *

სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან სახელები მხოლობით რიცხვში უნდა იყოს:

რვა ბურთი

რამდენიმე საუკუნე

უთვალავი სხივი

უამრავი კითხვა

(არასწორია: *<u>უამრავი საჭმელები...)</u>*. მათ ზმნაც მხოლობითში შეეწყობათ.

* * *

სიტყვა ნახევარი, რომელიც ზომა-წონისა თუ ოდენობის აღმნიშვნელია, დაერთვის არსებით სახელს და გამოიყოფა დეფისით. მაგ.: *წელიწად-ნახევარი, წუთ-ნახევარი, საათ-ნახევარი, მეტრ-ნახევარი* (და არა: *<u>მეტრა-ნახევარი, მეტრო-ნახევარი)</u>, ლიტრ-ნახევარი* (და არა: *<u>ლიტრა-ნახევარი</u>*)...

არ შეიძლება მათი დართვა რიცხვით სახელზე: უნდა იყოს: *ხუთთვე-ნახევარი, სამლარ-ნახევარი*... (და არა: *<u>სამ-ნახევარი თვე</u>*...).

სავარჯიშოები:

I. მიუწერე რიგობითის ფორმები:

ოთხმოცდასამი	ოთხმოცდამესამე
ხუთას ორი	
ხუთი ათას სამი	
ორას ოცი	
ათი ათასი	
სამი ათას შვიდი	
ოცდაჩვიდმეტი	
რვა	
ოცდაცხრამეტი	
ას ოცდაათი	
მილიონი	
თვრამეტი ათასი	

II. გამოსახეთ არაბული ციფრებით რიცხვითი სახელი მეთორმეტე და ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

. . . . კლასში გამოცდები გვაქვს.

III. ჩასვით რიცხვითი სახელი სათანადო ბრუნვაში:

1. სტადიონზე ----------
   მაყურებელი შეიკრიბა. (47 500)
2. ---------- ადამიანი ემსახურება ამ
   საქმეს. (2000)
3. ---------- ადამიანმა პროტესტი გამოთქვა.
   (220 000)
4. წელს მსოფლიოს მოსახლეობა ----------
   --
   ---------- კაცით გაიზარდა. (1 900 350)
5. ეს რესტორანი ----------
   ლარად გაიყიდა. (2 222 000)

V. გამოსახეთ არაბული ციფრებით რიცხვითი სახელი პირველი და ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

. . . . . საუკუნე მნიშვნელოვანია ქვეყნის ისტორიისათვის.

VI. ჩაწერეთ 3/4 სიტყვებით მრავალწერტილის ნაცვლად:

ჯგუფის . . . . . დადებით შეფასებას იმსახურებს.

VII. გამოსახეთ არაბული ციფრებით რიცხვითი სახელი <u>პირველმა</u> და ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

. . . . . გამომსვლელმა ტაში დაიმსახურა.

VIII. გამოსახეთ არაბული ციფრებით რიცხვითი სახელი რომაული ციფრებით ოცდამესამე და ჩასვით მრავალწერ-ტილის ნაცვლად:

. . . . . წუთზე გოლი გავიდა.

IX. გაასწორეთ შეცდომები:

1. I მოთამაშემ მოედანი დატოვა.

2. სტუდენტებს სამასსამასი ლარი გადასცეს.

3. მასწავლებელი სამ ოთხ წუთში მოვა.

4. კურსზე ოცი ოცდახუთი არაქართველი სტუდენტია.

5 მე-19-ე ადგილი დაკავებულია.

6. უკვე სამ-ნახევარი თვე გავიდა.

7. ჩვენ მე-12-ე ადგილზე ვისხედით.

8. XIX-ე საუკუნიდან იწყება ბრძოლა ადამიანის

უფლებების დაცვისათვის.

9. ელმირა VII-ე კლასის საუკეთესო მოსწავლეა.

10. ათითორმეტი წლის წინ საქართველოში

ენერგოკრიზისი იყო.

11. დაზღვევა ოც და თექვსმეტი ლარი ღირდა.

12. დათომ სამი-ნახევარი კილო შოკოლადი იყიდა.

X. გაასწორეთ შეცდომები:

1. საქართველო უამრავ ტურისტებს მასპინძლობს.

2. ორივე ძმები ახალქალაქში ცხოვრობდნენ.

3. პროექტში მრავალი ცვლილებები მოხდა.

4. რამდენიმე მნიშვნელოვანი დადგენილებები მიიღეს.

5. თემურს რამოდენიმე Dდღის წინ შევხვდი.

6. ლეილას უამრავი მეგობრები ჰყავს.

7. ახალ მოსამართლეს ბევრი გადაწყვეტილებების

მიღება მოუწევს.

5. ნაცვალსახელების მართლწერა

დაიმახსოვრეთ:

რამდენიმე (და არა ***<u>რამოდენიმე</u>***);

თითოეული (და არა ***<u>თითეული</u>*** ან ***<u>თვითეული</u>***)

თითოეული ჩვენგანი (და არა ***<u>თითოეული ჩვენთაგანი</u>***);

ყოველი თქვენგანი (და არა ***<u>ყოველი თქვენთაგანი)</u>***

ზოგიერთი მათგანი (და არა ***<u>ზოგიერთი მათთაგანი)</u>***

* * *

არასწორია: ***<u>ვინეები</u>*** ხართ? ***ვინ*** ნაცვალსახელს მრავლობითის ფორმა არა აქვს. სიმრავლის გამომხატველად გაორკეცებული ფორმა იხმარება: ***ვინ და ვინ ხართ?***

რა ნაცვალსახელს ორივე მრავლობითი აქვს: ***რანი*** და ***რაები***.

* * *

ეგ ნაცვალსახელის ნაცვლად არასწორია სახელობით ბრუნვაში **მაგი**-ს გამოყენება: ***ეგ ჩანთა*** და არა ***<u>მაგ ჩანთა</u>***... ***ეგენი იყიდიან*** და არა ***<u>მაგენი იყიდიან</u>***.

* * *

ხშირია შეცდომები *იგივე, ერთი და იგივე* ნაცვალსახ-ელების ბრუნებისას. ირიბ (ანუ მოთხ., მიც., ნათ., მოქ., ვით.) ბრუნვებში *იმავე* ფუძე ენაცვლება:

სახ. *იგივე / ერთი და იგივე სახლი*

მოთ. *იმავე-მ / ერთმა და იმავე სახლ-მა*

მიც. *იმავე-ს / ერთ(სა) და იმავე სახლ-ს*

ნათ. *იმავე-ს / ერთი და იმავე სახლ-ის*

მოქ. *იმავე-თი / ერთი და იმავე სახლ-ით*

ვით. *იმავე-დ / ერთ(სა) და იმავე სახლ-ად*

არასწორია: *<u>იმათმა გააკეთეს, იმათმა ააშენეს</u>... იმათმა, ამათმა, მათმა, მაგათმა* _ კუთვნილებას გამოხატავენ და განსაზღვრავენ სახელს: *იმათმა ნათესავმა დაგვირეკა...* მაგრამ ზმნებთან პირის ნაცვალსახელები _ *მათ, იმათ, ამათ, მაგათ* _ უნდა ვიხმაროთ: *მათ მოიტანეს, იმათ იყიდეს...*

* * *

დაიმახსოვრეთ:

სწორი ფორმებია:

ჩემკენ, შენკენ, ჩვენკენ, თქვენკენ.

ჩემ მიერ / გამო / წინაშე / გარდა / გვერდით / ნაცვლად / წინ / უკან / შემდეგ / ზევით...
შენ მიერ / გამო / წინაშე / გარდა / გვერდით / ნაცვლად / წინ / უკან / შემდეგ / ზევით...
ჩვენ მიერ / გამო / წინაშე / გარდა / გვერდით / ნაცვლად / წინ / უკან / შემდეგ / ზევით...
თქვენ მიერ / გამო / წინაშე / გარდა / გვერდით / ნაცვლად / წინ / უკან / შემდეგ / ზევით...

* * *

მიცემით ბრუნვას დაერთვის ***შორის, შუა*** თანდებულები. ამდენად, სწორი ფორმებია: ***ჩვენ შორის, ჩვენ შუა, მე და შენ შორის, / მე და მას შორის*** (და არა: ***<u>ჩემ და შენ შორის, ჩემ და მას შორის</u>***).

თუ I პირის ნაცვალსახელი მეორე ადგილზე დაისმის, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეენაცვლება *მე*-ს *ჩემ* ფორმა: ***შენ და ჩემ შორის***.

* * *

მიცემით და ვითარებით ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი *-ს* აუცილებელია, როცა მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელებია,:

მიცემითი ბრუნვა: ***ჩემ-ს მეზობელ-ს*** (და არა: ჩემ მეზობელ-ს), შდრ: ***ძველ მეზობელ-ს; შენ-ს მეზობელ-ს, მის მეზობელ-ს***.

ვითარებითი ბრუნვა: ***ჩემ-ს მეზობლ-ად (და არა: ჩემ მეზობლად); ჩვენ-ს მეზობლ-ად, შენ-ს მეზობლ-ად, თქვენ-ს მეზობლ-ად, მის მეზობლ-ად, მათ-ს მეზობლ-ად***...

* * *

იმდენი, ამდენი, მაგდენი ნაცვალსახელებთან საზღვრული მხოლობითშია:

იმდენი თავგადასავალი

ამდენი საჩუქარი

მაგდენი პრობლემა

* * *

თავისი და ***მისი*** ნაცვალსახელები III პირის კუთვნილებას გამოხატავენ, მაგრამ უნდა განვსაზღვროთ მათი ხმარება. ***თავისი*** _ თავად III პირის კუთვნილებას გამოხატავს, ***მისი*** კი _ სხვისას. ***ლალიმ ნიას თავისი მანქანა ათხოვა***, შდრ: ***ლალიმ ნიას მისი (ვთქვათ, დავითის) მანქანა ათხოვა*** (ე. ი. მანქანა სხვისია _ ***დავითისია***).

თავისი და ***თავიანთი*** _ ორივე ფორმა ერთსა და იმავე როლს ასრულებს, ოღონდ ისინი სუბიექტის განსხვავებულ რიცხვს შეესაბამება: თუ სუბიექტი მხოლობითშია, ***თავისი***

ნაცვალსახელი შეეფერება; თუ სუბიექტი მრავლობითშია, გამოიყენება *თავიანთი*: *ეკამ თავისი რვეულები აჩუქა ნიკას,* მაგრამ: *ეკამ და მაკამ თავიანთი რვეულები აჩუქეს მას.*

თუ სუბიექტი კრებითი სახელია ან მრავლის გამომხატველი ნაცვალსახელი, *თავისი* ნაცვალსახელი გამოიყენება: *ყველამ თავისი... მისცა, ხალხმა თავისი... მისცა.*

სავარჯიშოები:

I. გაასწორეთ შეცდომები:

1. ლია შენსკენ ცხოვრობს.
2. ის იბრძოდა მისი ქვეყნის თავისუფლებისათვის.
3. ეს თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაა.
4. თითეული მითითება საგულდაგულოდ უნდა წაიკითხოთ.
5. შენს გამო პრობლემები შეგვექმნა.
6. მათმა განიხილეს ეს წინადადება.
7. ვიღაცეებს პასუხი არ მოეწონათ.
8. ვინები მოვლენ?
9. მათ შენიშვნებმა დაგვაფიქრა.
10. ჩვენს გარდა არავინ მოსულა.
11. ერთი და იგივე პრობლემაზე ვსაუბრობთ.
12. იმათმა დამიძახეს.

13. ჩემსკენ მოდიხარ?

14. იმათ პარტნიორებმა თანხა უკვე გადმორიცხეს.

15. თქვენს წინაშეა ცნობილი მსახიობი.

16. ერთი და იგივე ტანსაცმლით დადის.

17. ჟურნალისტმა მისი გადაცემა ორ დღეში ჩაწერა.

18. დირექტორმა და მასწავლებელმა თავისი მოსაზრებები გამოთქვეს.

19. თქვენც იგივეს ამტკიცებთ.

20. გუშინაც იგივე საკითხზე ვსაუბრობდით.

21. ჩვენ გამოფენას გადაცემა მიეძღვნა.

22. ჟურნალისტები ერთი და იგივე სახის გადაცემებს ამზადებენ.

23. მათმა ყურადღება სხვა საკითხზე გადაიტანეს.

24. ამდენი კანონების გაცნობას დიდი დრო დასჭირდება.

25. საქმის დასრულებაში თვითეულმა მათგანმა მიიღო მონაწილეობა.

26. მოსამართლემ მისი გამოტანილი განაჩენი თვითონვე უარყო.

27. შენ წიგნს მომავალ კვირაში წავიკითხავ.

28. ჩვენს გარდა არავინ მოსულა.

29. საზოგადოებამ თავიანთი ვარაუდები გამოთქვა.

30. შენიშვნა ყველა ჩვენთაგანმა უნდა გაითვალისწინოს.

31. ჩვენსკენ ახალი დასახლება აშენდა.

32. რამოდენიმე კაცი ხმამაღლა საუბრობდა.

33. მათმა აღნიშნეს, რომ კმაყოფილები იყვნენ.

34. მათ ბრძოლამ შედეგი მოიტანა.

35. თითეული მათგანი კმაყოფილია.

II. გადახაზეთ არასწორი ფორმები:

ჩვენ გადაწყვეტილებას, თვითეული, ჩვენგანი, რამოდენიმე, მათთაგანი, მათმა მოიტანეს, იმდენი სათამაშოები, ჩემ გარდა, ჩემს წინ, ჩვენკენ.

III. გაასწორეთ შეცდომები თანდებულთა არასწორად ხმარებისას:

1. ჩვენს გარდა ვინ მოდის?

2. ჩვენს შუა ნინო იდგა.

3. ემა იდგა ჩემს წინ.

4. შენს შესახებ ბევრი რამ ვიცი.

5. ჩვენსკენ ახალი მაღაზია ააშენეს.

6. აქ თქვენს გარდა არავინ მოსულა.

7. ჩვენს შორის არავინ დაშავებულა.

8. სამწუხაროდ, თქვენს გამო ვერაფერს ვაკეთებ.

IV. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

შენს გამო, შენ გამო, შენგამო.

. . . . . ვერ წავედი.

V. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

თქვენს შემდეგ, თქვენ-შემდეგ, თქვენ შემდეგ.

. . . . . ნინო შემოვა.

6. წარმოქმნილ სახელთა მართლწერა; კომპოზიტების (რთული სიტყვების) მართლწერა

6.1. წარმოქმნილ სახელთა მართლწერა

-ვ თანხმოვნით დაბოლოებულ სახელებთან წოდებითში **-ო** ნიშნის დართვისას ან საწარმოებელი **უ- _ -ო, სა- _ -ო, -ობა, -ურ** სუფიქსების დართვისას **-ვ** არ უნდა დაიკარგოს:

თავ-ო (და არა: ***<u>თაო</u>***!)

უ-დავ-ო (და არა: ***<u>უდაო</u>***)

უ-თავ-ო (და არა: ***<u>უთაო</u>***), ***თავ-ურ-ი დარტყმა,***

მაგრამ: ***თაობა, თაოსანი.***

სა-დავ-ო (და არა: ***<u>სადაო</u>)***

სა-ნათესავ-ო, მაგრამ: ***ნათესა-ობა, ნათესა-ურ-ი.***

სა-ბავშვ-ო

სა-დაზღვევ-ო

სა-მარხვ-ო, მაგრამ ვ-ს გარეშეა: ***სა-მრეცხა-ო, სა-მბეჭდა-ო..***

ბავშვ-ურ-ი (და არა: ***<u>ბავშური</u>)***

გამონაკლისებია:

ფშა-ური

მოხე-ური

პასი-ური

აქტი-ური

ვ შენარჩუნებულია	*ვ დაკარგულია*
-ობა	
ბავშვობა, გულუხვობა, თაგვობა, ბრიყვობა, მორცხვობა, ერისთავობა, მოურავობა, მუდმივობა, მრავალმხრივობა,	ბეჩაობა, გამბედაობა, ნაძალადეობა, ბუნებრიობა, პარასკეობით

ხანგრძლივობა, აქტივობა, პასივობა, ინტენსივობა, უინიციტივობა, უპერსპექტივობა, მრავალმხრივობა, მუდმივობა, ცალმხრივობა, ხანგრძლივობა,	
-ურ	
დათვური, ბავშვური, მკლავური, პირუტყვული, თავური, ჯაჭვური, ლირტვური, მოსკოვური, სლავური	ფშაური, მოხეური, აქტიური, პასიური
-ოვან	
ბეწვოვანი, ძარღვოვანი	მრავალრიცხოვანი
-ოსან	
გასხივოსნებული	თაოსანი, ნაოსანი
მე- ... –ე	
მეტყევე, მერძევე, მეეზოვე,	-
უ- ... –ო	
უთავო, უდავო, უსხივო, უნავო, უტივო, უკრავო, უსიტყვო, უქცევო, უთივო, უძრავო	უმოძრაო უთაური
სა- ... –ო	
საზავო, საბავშვო, სადაზღვევო, საეჭვო, საარაგვო, სადავო, სააღრიცხვო, სამარხვო	საპატიო, სამრეცხაო, სანაძლეო, სანახაობა
სი- ... –ე	
სიკოხტავე, სიბრმავე, სისუფთავე, სიფართოვე, სივიწროვე, სიახლოვე, სიმარტივე, სიცოტავე, საეზოვე,	სიცრუე

სავარჯიშოები:

I. გადახაზეთ არასწორი ფორმები:

მეეზოე, სანახავობა, პარასკეობით, ბავშობა, მორცხობა, სიახლოე, გამბედავობა, აქტიური, საეჭვო, ხანგრძლიობა, პარასკევობით, სიმარტივე, სამრეცხავო, მოხეური, მოურაობა, სანაძლევო, თაური, პასივობა, მრავალრიცხვოვანი, ინტენსივობა, სამარხო, ბავშური, სანახავობა, თაოსანი, უპერსპექტიობა, სივიწროე, სადავო, მკლაური, ძარღოვანი, დათვური, უსიტყვო, ბუნებრივობა, ბრიყობა, სააღრიცხვო.

II. გახაზეთ სწორი ფორმები:

1. ზამთარში დღის ***ხანგრძლივობა/ხანგრძლიობა*** იკლებს.
2. ***ბავშვობა/ბავშობა*** საუკეთესო დროა ადამიანის ცხოვრებაში.
3. ***პარასკეობით/პარასკევობით*** უნივერსიტეტში საინტერესო მოხსენებებს კითხულობენ გამოჩენილი მეცნიერები.
4. ლალიმ ***უსიტყვოდ/უსიტყოდ*** გააკეთა ის, რაც დაავალეს.
5. ***მორცხობა/მორცხვობა*** ხელს უშლის ადამიანს თავის გამოვლენაში.
6. გიორგი მთელ სოფელში გამოირჩეოდა თავისი ***გულუხვობით/გულუხობით.***

7. ყოველწლიურად თბილისობის დღესასწაულზე რიყეზე საინტერესო *სანახაობა/სანახავობა* იმართება ხოლმე.
8. ნებისმიერი დარგის პროფესიონალისათვის *უინიციატივობა/უინიციატიობა* მნიშვნელოვანი ნაკლია.
9. წელს *საპატივო/საპატიო* თბილისელის წოდება რამაზ ჩხიკვაძეს მიენიჭა.

III. გაასწორეთ შეცდომები:

1. პარლამენტმა სადაო საკითხების განხილვა ხვალისთვის გადადო.
2. ჩვენი ორგანიზაცია კომპიუტერულ სააღრიცხო სისტემას იყენებს.
3. ბანკის სათაო ოფისი ახალ შენობაში გადავიდა.
4. უდაო ჭეშმარიტება თითქმის არ არსებობს.
5. რაიონის მაღალმთიან სოფელში საბავშო ბაღი გაიხსნა.
6. რესტორანში მრავალფეროვანი სამარხო კერძები შე-მოგვთავაზეს.
7. ბავშობაში ბევრს კითხულობდა.
8. სადაზღვეო კომპანიამ თავისი ოფისი მარნეულშიც გახსნა.
9. მათ უდაოდ კარგად იმუშავეს.
10. პარტიას მრავალრიცხვოვანი მხარდამჭერები ჰყავს.
11. საზაო ხელშეკრულება გუშინ გააფორმეს.

12. გულუხობა დადებითი თვისებაა.

IV. გახაზეთ სწორი ფორმები:

სამზითვო _ სამზითო

სადავო _ სადაო

მოხევური _ მოხეური

ერისთაობა _ ერისთავობა

უსიტყვო _ უსიტყო

სანათესაო _ სანათესავო

ბავშვური _ ბავშური

სამრეცხაო _ სამრეცხავო

ფშაური _ ფშავური

მრავალრიცხოვანი _ მრავალრიცხვოვანი

მორცხობა _ მორცხვობა

ხანგრძლივობა _ ხანგრძლიობა

თავური _ თაური

6.2. კომპოზიტების (რთული სიტყვების) მართლწერა

კომპოზიტი ორგვარია: *ერთცნებიანი* და *ორ-* და *მეტცნებიანი*.

ერთცნებიანია კომპოზიტი, რომლის ფუძის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს. მაგ.: *მრავალძარღვა, ცისარტყელა, გულმოკლული...*

ორ- და მეტცნებიანია კომპოზიტი, რომლის მნიშვნელობა უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს და მათ შორის შეიძლება აზრობრივად ჩაისვას და კავშირი. მაგ.: *ცოლ-ქმარი, რაჭა-ლეჩხუმი...*

დაიმახსოვრეთ:

ყველა ერთცნებიანი კომპოზიტი იწერება ერთად. ესენია:

ა) ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, როცა ერთნაირი, ან ხმოვან- ან კიდევ თანხმოვან-შეცვლილი მარცვლებია გაერთიანებული:

ლიკლიკი, წიკწიკი, თავთავი, კაშკაში, წამწამი... რაკარუკი, ბინდბუნდი, არემარე, ჩამიჩუმი, ქოხმახი, ახლომახლო, ნაყარნუყარი, უსწორმასწორო, სხაპასხუპი, ბრახაბრუხი...

ბ) ფუძეგაორკეცებულ სიტყვებში და კავშირია ჩასმული:

თანდათან, ცხენდაცხენ, გზადაგზა, პირდაპირ, ფეხდაფეხ, სხვადასხვა, ხანდახან, კვალდაკვალ...

გ) სხვადასხვა ფუძის ან ფორმის შეერთებით მიღებული კომპოზიტები: *წლისთავი, გლეხკაცი, თავმომწვარი, ახალგაცნობილი, გულდამწვარი... დედაბუნება, ელექტროგადამცემი, კინოროლი, კინოფირი, ლუკმაპური, რადიოგადაცემა, წყალსადენი... დისშვილი, ხელისგული, კარისკაცი, ვარდისფერი, ცხვირსახოცი, ერთადერთი... ზედამხედველი, თანასკოლელი, წინდახედული... ხელფეხგახსნილი, ცხვირპირდასიებული...*

დ) მაწარმოებელი აფიქსების მქონე კომპოზიტები: *მამაშვილობა, უდედმამო, უსახლკარო, იგავარაკული, დედაშვილური, დაძმური...*

ე) ნათესაობის აღმნიშვნელი კომპოზიტები, როცა კუთვნილებითი ნაცვალსახელი მეორე ადგილზეა:

ბებიაჩემი, ბიძაშენი, ბებიათქვენი.

ვ) თუ თანდებული ან ზმნიზედა დაერთვის სიტყვის ფუძეს, ვღებულობთ კომპოზიტს, რომელიც ერთად იწერება: *ჭერქვეშ, ფეხქვეშ, თვალწინ...*

* * *

დეფისით იწერება:

ა) სინონიმური და ანტონიმური მნიშვნელობის რთული სახელები:

ბედ-იღბალი, სიცილ-კისკისი, ალალ-მართალი, სვე-ბედი, ტოლ-ამხანაგი, ღარიბ-ღატაკი, ოხერ-ტიალი, მთა-ბარი, დიდ-პატარა, კვლევა-ძიება, მშვილდ-ისარი, ჩოხა-ახალუხი, სასოფლო-სამეურნეო, ფოსტა-ტელეგრაფი...

ბ) ზმნისწინით განსხვავებული ან სხვადასხვა ფუძის მქონე ზმნების გაერთიანება:

გაიხედ-გამოიხედა, აიხედ-ჩაიხედა, გაატარ-გამოატარა...

გ) სახელის ფუძის გაორკეცების შედეგად მიღებული ზმნიზედები ან ზედსართავები:

ქუჩა-ქუჩა, ტყე-ტყე, ნაპირ-ნაპირ, ცხელ-ცხელი, ჭრელ-ჭრელი...

მინდორ-მინდორ, ტყე-ტყე, გზა-გზა,

ლამაზ-ლამაზი, მაღალ-მაღალი...

დ) რიცხვითი სახელების გაორკეცებისას:

ორ-ორი, ერთ-ერთი, ათ-ათი...

ე) ვიცე- რთული ფუძის პირველი ნაწილი მომდევნო ფუძესთან შეერთებულია დეფისით და შემდეგნაირად იწერება: *ვიცე-პოლკოვნიკი, ვიცე-პრემიერი, ვიცე-მერი...*

* * *

კუთვნილების გამომხატველი კომპოზიტები ერთად იწერება:

დაბალშემოსავლიანი,

გრძელფეხება,

ორგანზომილებიანი...

მაგრამ, თუ კუთვნილებით კომპოზიტს წინ უძღვის *-ზე* ან *-ში* თანდებულიანი ადგილის გარემოება, ასეთ შემთხვევაში ვწერთ ცალ-ცალკე: *ფიქრებში ჩაფლული, მკერდზე დაკრული.* თუ კუთვნილებითი კომპოზიტის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია, დეფისით უკავშირდება მომდევნო სახელს: *8-ფურცლიანი, 5-ელემენტიანი.*

* * *

დაიმახსოვრეთ:

უდეფისოდ იწერება სიტყვა, თუ ორცნებიან კომპოზიტს მაწარმოებელი სუფიქსები დაერთვის და ახალი მნიშვნელობის სიტყვა მიიღება:

და-ძმა _ დაძმობა

სტუმარ-მასპინძელი _ სტუმარმასპინძლობა

მამა-შვილი _ მამაშვილობა

თავად-აზნაური _ თავადაზნაურობა,

სათავადაზნაურო

ტან-ფეხი _ ტანფეხიანი.

* * *

შერწყმული დანართის პირველი წევრი უნდა გადმოიცეს ფუძის სახით და დაიწეროს საზღვრულთან ერთად დეფისით:

სახლ-მუზეუმი

წევრ-კორესპონდენტი

მუზეუმ-ნაკრძალი

პოეტ-აკადემიკოსი

ტელეფონ-ავტომატი

ექიმ-კონსულტანტი

პრემიერ-მინისტრი

ვაგონ-რესტორანი

* * *

ერთად დაიწერება უცხო წარმოშობის აფიქსებით ან შემოკლებული სიტყვებით ნაწარმოები სიტყვები:

პრესრელიზი, პრესკონფერენცია, პრესბიურო, პოლიტსაბჭო, პოლიტპატიმარი, პოლიტკორექტული, პოლიტემიგრანტი, სპეცსამოსი, სპეცსამსახური, სპეცსემინარი, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიდემოკრატიული,

ანტიმარქსისტი, ანტიპათიური, ანტიკომუნისტი, პოსტსაბჭოური, პოსტსკრიპტუმი...

პირველ ყოვლისა, მაგრამ: *პირველთანრიგოსანი, პირველკურსელი, პირველმიზეზი.*

* * *

ორცნებიანი კომპოზიტი წინადადების ერთი წევრია, ამიტომ ზმნა-შემასმენელი მხოლობით რიცხვში შეეწყობა. მაგ.: *და-ძმა გვესტუმრა* (და არა: *გვესტუმრნენ*), *ცოლ-ქმარი ჩამოვიდა* (და არა: *ჩამოვიდნენ*)...

სავარჯიშოები:

I. ორცნებიანი რთული სიტყვებისაგან აწარმოეთ ერთცნებიანი კომპოზიტები (სხვადასხვა აფიქსების მეშვეობით):

დედა-შვილი	*დედაშვილობა*
სახლ-კარი	
თავად-აზნაური	
ცოლ-შვილი	
წვერ-ულვაში	
დედ-მამა	

მშვილდ-ისარი	
ძალ-ღონე	
ოქრო-ვერცხლი	
მთა-ბარი	
მთა-გორა	
ხელ-ფეხი	

II. შეადგინეთ კომპოზიტები და დაწერეთ სწორად:

დედა-, ნელ-, ქუჩა, ჩამი-, ბედ-, მესხეთ-, მოგლეჯილი, შვილი, იღბალი, წეს-, აღმა-, ჩუმი, ჯავახეთი, ქუჩა-, ჩვეულება, თავქუდ-, ლუკმა-, დაღმა, ნელა, პური.

_____

_____

_____

III. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

1. ანტი დემოკრატიული კანონმდებლობა სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს.
2. სოციალურპოლიტიკური ვითარება გამოსწორდა.

3. ხვალ ვიცეპრეზიდენტს ვხვდებით.

4. ექიმმა ახედდახედა პაციენტს.

5. სახლმუზეუმი ზაფხულში შეაკეთეს.

6. ვიცე ადმირალის წინადადება ერთხმად მიიღეს.

7. ანტი ნიკოტინურ კამპანიას ბევრი მომხრე გამოუჩნდა.

8. სამ წლიანი პროექტი სამინისტრომ დაამტკიცა.

9. ისინი თანა-მზრახველებთანAერთად მოქმედებდნენ.

10. პირველ-კურსელები დილის ცვლაში სწავლობენ.

11. ანტი-დემოკრატიულ გადაწყვეტილებებს არ და-ვამტკიცებთ.

12. ფშავ ხევსურეთში მძიმე კლიმატური პირობებია.

13. პაპა-ჩემი ცნობილი სპორტსმენია.

14. ის შუბლ-შეკრული დადიოდა.

15. 2 უცნობიანი განტოლების ამოხსნა გამიჭირდა.

16. პრემიერ მინისტრის ვიზიტი ხვალ დაიწყება.

17. ის უბან უბან ეძებდა საფოსტო განყოფილებას.

18. ქალაქში პირველი მაღალ-სართულიანი შენობა XX საუკუნეში ააშენეს.

19. ის წინ და წინ გეგმავს ყველაფერს.

20. მწერალმა პირველ დაწყებითი განათლება სოფელში მიიღო.

21. ცოლ ქმარი აგარაკზე გაემგზავრა.

22. ჩემი თანა-მშრომელი მივლინებაში გაემგზავრა.

23. მათ უფროსუმცროსობასაც აღარ მიაქციეს ყურადღება.

24. სამ სამი ლარი დააკლდათ.

25. ახალახალ ტანსაცმელს იცვამს.

IV. გადახაზეთ არასწორად დაწერილი კომპოზიტები:

ზედ ნაშენი, რადიო-გადაცემა, კინო-ფილმი, ლუკმა-პური, კუჭ-მაჭი, ნათლია შენი, წვრილ-ფეხა, ბევრისმნახველი, ძმის შვილი, ხევხევ, თანატოლი, ახლო-მახლო, ცოტ-ცოტა, ბალახ-ბულახი, X-უცნობიანი, ქოხმახი, ბუტბუტი, თავ-თავი, გიჟ-მაჟი, ახალ ჩამოსული, სხვა და სხვა, თან და თან, პირდა-პირ, წინდაწინ, ბედისწერა, ბალიშშითავჩარგული, ზე-კაცი, მრავალ-ჭირნახული, ერთ-ერთი, აწონდაწონა, შიშ-ველტიტველი, ბედიღბალი, ცხელცხელი, თანა-მებრძოლი, შინა მოსამსახურე, წევრკორესპონდენტი, ბედ-იღბალი, ვიცეპოლკოვნიკი, თანა-კლასელი, ტელეფონ-ავტომატი, ვაგონ რესტორანი, უბან-უბან, სახლმუზეუმი, მუზეუმ-ნაკრძალი, წამწამი.

V. -ობა, -იან, -ურ, სა-_-ე, სა-_-ო, უ-_-ო... აფიქსების დართვით შესაძლო შემთხვევაში აწარმოეთ ერთცნებიანი კომპოზიტები:

ნიმუში: *კვლევა-ძიება _ საკვლევაძიებო*

დედა-შვილი _ _____

ცოლ-ქმარი _ _____

და-ძმა _ _____

ბატონ-ყმა _ _____

ცოლ-შვილი _ _____

წვერ-ულვაში _ _____

მხარ-ბეჭი _ _____

დანა-ჩანგალი _ _____

სახლ-კარი _ _____

დედ-მამა _ _____

სინდის-ნამუსი _ _____

VI. გახაზეთ სწორი ფორმები:

ჭკუამახვილი, წყალ-სადენი, ლუკმა პური, ხელისგული, ავ-დარი, ახალგაცნობილი, ელექტრო სადგური, ფოსტა ტელეგრაფი, რადიო გადამცემი, ზედა პირი, ახალგაცნობილი, ახალი გამოსული, გულის ნადები, კინოფილმი, ახალ-გამოსული, ზემოთაღნიშნული, თეთრ ხალათიანი, ქვედა-ფენა, ელექტრო-სადგური, დიდ-პატარა, ლუკმა-პური, მშვილდისარი, ახალ გამოსული, კინოფირი, ფოსტა-ტელეგრაფი, ხელის გული, ალალმართალი,

რადიოგადაცემა, ზედა-პირი, ელექტრო-სადგური, რადიო გადაცემა, თეთრხალათიანი, კინო-ფილმი, ქვედა ფენა, კინო-ფირი, გულის-ნადები, წევრკორესპოდენტი, ქვედაფენა, წყალსადენი, რადიო მიმღები, ხელის-გული, ჭკუა-მახვილი, რადიო-გადაცემა, საჭმელ-სასმელი, ლუკმაპური, ტოლ-ამხანაგი, ფოსტა-ტელეგრაფი, საჭმელსასმელი, რადიო-მიმღები.

VII. დააბოლოეთ ზმნები:

ცოლ-ქმარი მიდი . . .

დედა-შვილი საუბრობ…. . .

და-ძმა ბევრს მოგზაურობ . . . .

მთა-ბარი გალამაზდ . . .

დიდ-პატარა მღეროდ . . . .

მამა-შვილი იცინ . . . . .

7. ზმნის პირის ნიშანთა მართლწერა

7.1. ორი ერთნაირი ბგერის თავმოყრა ზმნაში

ა. I სუბიექტურ პირში ორი *ვ- იწერება,* თუ ზმნის ფუძე *ვ-* თანხმოვნით იწყება,:

ვ-ვარცხნი(თ), ვ-ვარდები(თ), ვ-ვარაუდ-ობ(თ)...

ვ- უნდა შენარჩუნდეს *უ* ხმოვნის წინ:

ვ-ურეკავ, ვ-უთხრი, ვ-უთვლი...

ბ. ორი *მ-* იწერება მაშინ, თუ ერთი ფუძისეულია, მეორე კი _ I ობიექტური პირის ნიშანი:

მ-მალავს ის მე, მ-მართებს ის მე...

გ. *გვ-*თი დაწყებულ ზმნას მრავლობითი რიცხვის I ობიექტურ პირში ორი *გვ* მოუდის:

მო-გვ-გვარა, და-გვ-გვიანებია, გვ-გვრის...

დ. თუ ზმნის ფუძე *გ*-თი იწყება, მხოლობითი რიცხვის II ობიექტურ პირში ორი *გ-* იწერება:

გ-გუდავს, გ-გლეჯს, გ-გონია, გ-გზავნის...

ე. თუ ზმნის ძირი *ა* ხმოვნით იწყება და ფორმა ნაწარმოებია *ა* თავსართით, გა/და ზმნისწინების დართვისას ფორმაში სამი *ა* მოიყრის თავს:

გა-ა-ათმაგებს, გა-ა-ანალიზებს, გა-ა-ავებს.

ვ. თუ ზმნის ძირი *ე* ხმოვნით იწყება და ფორმა ნაწარმოებია *ე* თავსართით, ორი ე მოიყრის თავს, ხოლო თუ *შე-* ზმნისწინიც დაერთო, ფორმაში ზოგჯერ სამი *ე* მოიყრის თავს:

შე-ე-ხება, გა-ე-ერთიანებინა, შე-ე-ერთებინა...

ზ. თუ ზმნის ძირი **დ** თანხმოვანზე მთავრდება, **-დ** სუფიქსის დართვისას ფორმაში ორი **დ** უნდა დაიწეროს:

დაავად-დ-ება; გადიდ-დ-ება, გათავად-დ-ება...

შედედ-დ-ა; ადიდ-დ-ა, დაბინდ-დ-ა...

სავარჯიშოები:

I. გაასწორეთ შეცდომები:

1. ჩვენ დიდხანს ოცნებობდით ამაზე.
2. მე ვარაუდობდი, რომ სხდომა მალე დაიწყებოდა.
3. შენ მე რწმენას მატებ.
4. ეკა, შენ ოფისი გზავნის სტაჟირებაზე?
5. ამის გახსენება ჩვენ სიამოვნებას გვრის.
6. მან უფროსს გათავისუფლება თხოვა.
7. მე ფული მართებს.
8. მას არ წამს ასეთი მეგობრობის.
9. ის სტირის თავისი პრობლემების გამო.
10. მე ოჯახის სარჩენად ვაჭრობ.
11. მას ძულს უპასუხისმგებლო ადამიანები.
12. ეკას ლამაზი შვილი ყავს.
13. მე უამბე დეკანს ეს ამბავი.

14. მას გვიანობამდე ძინავს ხოლმე.
15. შენ ხომ მეც მკურნალობ?
16. მე ორჭოფობდი, მეყიდა თუ არა ახალი კომპიუტერი.
17. რედაქტორი შეპირდა ჟურნალისტებს, რომ შვებულებაში გაუშვებდა.
18. ტრენინგზე მე ყოველდღიურად ვითარდებოდი.
19. დღეს ჩვენ ერთად ვახშმობთ.
20. პოლიციელმა ხელი ტაცა დამნაშავეს.
21. მე გაოცდი ახალი ფილმის ნახვისას.
22. ლექტორმა სტუდენტს დავალება გამოკითხა.
23. ეს კარგად სჩანს ექსპერტის დასკვნიდან.
24. ჩემი ძმა თამაშის დროს ეზოში მალავდა მე.
25. როგორ გონია შენ, მოვასწრებთ სამუშაოს დასრულებას?

II. გაასწორეთ შეცდომები:

1. მთელი კვირა უცხოელების მიერ ჩატარებულ ტრენინგს ვესწრებოდი, რამაც ბევრი ვერაფერი შემატა.
2. შენ როგორ გონია, ამ საქმეს მალე დავამთავრებთ?

3. ეს ყველაფერი მართალი ნუ გონია, მე მგონი, რაღაცას გვიმალავს.
4. დიდი ხანია არ დაგვიანებია, არც ახლა მინდა დაგვიანება.
5. თუ ცუდად მოიქცევით, უკან სახლში გაგზავნითო, ასე დაგვემუქრა ბებია.
6. ისეთი ყაჩაღები, ჩანთას რომ ხელიდან გამოგლეჯენ, ციხეში უნდა იყვნენ, ქუჩაში კი არ უნდა სეირნობდნენ.
7. _ დამალე, დამალე! _ უცებ შემომესმა ვიღაცის კივილი.
8. გაზაფხულზე, გადაუღებელი წვიმების დროს ეს პატარა მდინარე ისე დიდება, რომ შეიძლება მთელი სოფელი წალეკოს.
9. ჩემს ღია ფერის ქურთუკს ყოველ წელს ქიმწმენდაში ვწმენდი, ახლა მუქი ფერის უნდა ვიყიდო.
10. სახლიდან გასვლის წინ მტვერს გადაწმენდა, ყველაფერს მიალაგებდა და კარს მიიხურავდა.
11. აგრესიული პასუხის შემთხვევაში გაგა ხმას გაკმენდა ხოლმე.
12. ზაფხულობით ეს მთის ფერდობი საოცრად აფერადება ხოლმე.
13. მამამისს რომ დაინახავს, მაშინ გულადება ხოლმე, სხვა დროს ხმის ამოღებას ვერ ბედავს.
14. ეს რა დამართნია, უთო ჩართული დამრჩენია და კინაღამ ხანძარი გაჩენილა.

15. სიკვდილის წინ ბაბუაჩემი გვეუბნებოდა, ჩვენი ტყის პირას დამარხეთო, ისე უყვარდა ეს ადგილები.

III. გაასწორეთ შეცდომები:

1. მობილურმა ტელეფონებმა ძალიან გაადვილა კომუნიკაცია.
2. მამაშენს ააქვს კომპიუტერი?
3. თბილისი დაარსა ვახტანგ გოგრგასალმა.
4. დიდმა სტრესმა და ნერვიულობამ მარიამის დედა საბოლოოდ დაავადა.
5. კარგი მოთხრობების წიგნი გააქვს სახლში?
6. რომელი მობილური ტელეფონი ააქვს მამაშენს?
7. არაერთ ქართველ მეფეს უნდოდა გაერთიანებინა ქვეყანა.
8. ქიმიის გაკვეთილზე მასწავლებელმა გადაწყვიტა ორი კლასი შეერთებინა.
9. თუ შრომას გაათმაგებ, ბევრს მიაღწევ.
10. შენს მეზობელს ააქვს ელექტროგამათბობელი?
11. ამ ბავშვს წარმოდგენაც არა ააქვს მათემატიკაზე.
12. ვისაც მობილური ტელეფონი არ ააქვს, მასთან დაკავშირება გამიჭირდება.

7.2. ჰ- და ს- პრეფიქსებთან დაკავშირებული

მართლწერის წესები

III ირიბობიექტური პირის ნიშანი **ჰ-** გვხვდება **ბ, ფ, პ, გ, ქ, კ,** *ყ თანხმოვნების წინ, ხოლო* **ს-** *გვხვდება* **_ დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ** თანხმოვნების წინ.

1) თუ ზმნას ერთი პირი შეეწყობა, ეს ერთი პირი სუბიექტია, ამიტომ **ჰ-** ან **ს-** ნიშანი ზმნაში ზედმეტია:

ქრის (ის), წუხს (ის), ზრუნავს (ის), დუმს (და არა: ***ჰქრის, სწუხს, ჰქრის, ჰზრუნავს, სდუმს...).***

შენიშვნა: ს- თავსართი უნდა დარჩეს იმ ზმნებში, რომლებშიც ის ფუძესთანაა შეხორცებული:

გასტანა (კრებამ დიდხანს), გასწია (მან სახლისაკენ), ასწია, მოსწია,...

2) თუ ზმნა ორპირიანია, ერთი პირი სუბიექტია, მეორე _ პირდაპირი ან ირიბი ობიექტი.

ა. პირდაპირი ობიექტი აწმყოსა და მყოფადში მიცემით ბრუნვაშია, წარსულში (წყვეტილში) _ სახელობითში, ე.ი. ბრუნვაცვალებადია. თანამედროვე ქართული სალიტერა-ტურო ენის ნორმების მიხედვით, პირდაპირობიექტურ პირს ***ნიშანი არ უნდა:***

თქვა (მან ის), დატოვა (მან ის), გადაწყვიტა (მან ის) და არა: ***სთქვა, დასტოვა, გადასწყვიტა*** და ა. შ.

დაიმახსოვრეთ: **ს-** თავსართი შეხორცებულია ფუძესთან შემდეგ ზმნებში:

მისწია, მისწევს, ასწია, ასწევს, გამოსცა, გამოსცემს, გასცა, გასცემს...

ბ. ირიბი ობიექტი ყველა დროსა და მწკრივში მიცემით ბრუნვაშია, ბრუნვაუცვლელია. ირიბობიექტური პირის ნიშანი ზმნაში უნდა იყოს წარმოდგენილი:

შეჰგებია (ის მას), დაჰკარგვია (ის მას), მოჰპარვია (ის მას), ჰგავს, ჰგონია, ჰყავს, ჰყოლია... სძულს, სცემს, სწამს, გასჩერებია...

შენიშვნა: სხვა თანხმოვნებისა (***ღ, ხ, ზ, ს, ჟ, შ***) და ხმოვნების წინ ირიბობიექტურ პირს ნიშანი არ უნდა:

ღალატობს, ნებავს, მართებს (ის მას)

ცივა, ცხელა ზმნები ამინდს აღნიშნავს, მაგრამ თუ ადამიანს აქვს შეგრძნება სიცივისა ან სიცხისა, ზმნას სჭირდება პირის ნიშანი:

მას სცივა, სცხელა...

ამავე ნიშნით გაიმიჯნება ზმნათა შემდეგი წყვილები:

წერს _ სწერს (მოსწავლე დავალებას წერს, მაგრამ:

ბიჭი სწერს წერილს დედას).

ჭრის __ სჭრის (დიასახლისი ჭრის ნამცხვარს, მაგრამ:

მამა ნაძვს ტოტს სჭრის).

ცვივა _ სცვივა (ციდან ცვივა წვეთები, მაგრამ:

გურამს თმები სცვივა).

კრავს _ ჰკრავს (კრავს ბარგს, მაგრამ:

ჰკრავს ის მას ხელს).

ტირის _ (და)სტირის (ბავშვი ტირის, მაგრამ: *ის დასტირის, ან მისტირის თავის წარსულს).*

ჯობს (ასე) *_ სჯობს (ნინო ეკას მოხერხებით)*

3) სამპირიან ზმნებს ყოველთვის უნდა **ჰ-** ან **ს-** პრეფიქსი, იმიტომ, რომ ერთი პირი ყოველთვის ირიბობიექტურია:

დაჰპირდა ის მას მას, სწერს ის მას მას, სთხოვს ის მას მას, შესწირავ შენ მას მას, შესჩივლა მან მას ის...

ზოგჯერ III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის -ნენ ნიშნის ნაცვლად შეცდომით ხმარობენ –ენ დაბოლოებას: ***<u>დაიმალენ, დაესწრენ</u>***... ეს შეცდომაა. უნდა იყოს:

დაიმალნენ, ეწვივნენ, დაესწრნენ...

დაიმახსოვრეთ:

სწორია:	**არასწორია:**
ჰყავს	ყავს
ჰქვია	ქვია
ჰგავს	გავს

ჰგონია	გონია
მისცემს	მიცემს
მოსტაცებს	მოტაცებს
დასტყუებს	დატყუებს
მისწერს	მიწერს
სთხოვს	თხოვს
ჰკითხავს	კითხავს
მიჰყიდის	მიყიდის
ჰპირდება	პირდება
სწყინს	წყინს
სტკივა	ტკივა
სჭირს	ჭირს
სწყურია	წყურია
სდის	დის
სძულს	ძულს
სცხელა	ცხელა
სცივა	ცივა

სავარჯიშოები:

I. გახაზეთ სწორი ფორმები:

1. პრეზიდენტმა განკარგულება გასცა.
   მებრძოლმა საიდუმლო არ გაცა.
2. დედამ შვილს პირი მოსწმინდა.

დედამ იატაკი მოწმინდა.

3. კინოთეატრში ახალი ფილმი გადიოდა.

   სისხლი თქრიალით გადიოდა.

4. ნიკა ვანოს ფეხით შედგა.

   ლალიმ ქვაბი გაზქურაზე შედგა.

5. დღეს ძალიან ცხელა.

   ნოდარს ძალიან ცხელა.

6. თამუნა ხშირად წერს წერილებს შეყვარებულს.

   თამუნა ნოველებს წერს.

7. ტყეში ხეებს სჭრიან.

   გაზაფხულზე ხეებს ტოტებს სჭრიან.

8. ფანტელები ცვივა.

   ხეს ფოთლები ცვივა.

9. უხერხულობისაგან ალმური ასდიოდა.

   ცხელი ჰაერი მაღლა ადიოდა.

II. გაასწორეთ შეცდომები; გახაზეთ სწორი ფორმები:

1. დედა ჰზრუნავს თავის შვილებზე.
2. ნუნუ კოჭლობს.
3. ზურას სწყურია.
4. თეკლას დილიდან ცხელა.

5. ომარს კბილი ტკივა.

6. ბებია წინდას ქსოვს.

7. ეკას ყველაფერი სწყინს.

8. მან მარინას კარგი რჩევა მისცა.

9. ლიანა მამიდას ჰგავს.

10. კატო ძალიან ხმაურობს.

11. ნატა რატომ სდუმს?

12. მტერი ყველას სძულს.

13. ბავშვს ცრემლების სდის.

14. გარეთ ძალიან ცივა.

15. ნინო ცუდად არის და ჰბარბაცებს.

16. ეკა ყვავილებს ჰკრეფს.

17. ის საბურავებს სცვლის.

18. პაპა ყურძენს წურავს.

19. თორნიკეს რა სჭირს?

20. მას ყველა თავისი მეგობარი ჰგონია.

8. ზმნისწინთა მართლწერა

დაიმახსოვრეთ:

აღ-, გან- ზმნისწინების გამოყენებისას:

1) ზმნისწინი ზმნის თავში დართული ნაწილია, მისი გათიშვა არ შეიძლება. არასწორია: *<u>ავღნუსხე, ავღწერე, ავღრიცხე, ავღშფოთდი</u>*... უნდა ვთქვათ და ვწეროთ:

აღ-ვ-ნუსხე, აღ-მი-ნიშნავს, აღ-ვ-წერე,

აღ-ვ-რიცხე, აღ-ვ-ზარდე, აღ-ვ-შფოთდი.

2) **განა-** ზმნისწინი არ უნდა გავთიშოთ: სწორი ფორმაა *განმათავისუფლეთ* (და არა: *<u>გა-მა-ნ-თავისუფლეთ</u>*).

ასე რომ, მართებული ფორმებია:

*განა-თავისუფლებს (*ან *გა-თავისუფლებს), განა-სხვავებს, განა-ვითარებს, განა-ზოგადებს, განა-მტკიცებს.*

*წარსულ დროში: განა-თავისუფლა (*ან *გა-თავისუფლა), განა-სხვავა, განა-ვითარა, განა-ზოგადა, განა-მტკიცა.*

აწმყო დროში: *ასახიერებს, ათავისუფლებს, სხვავებს, ვითარებს, ზოგადებს, მტკიცებს* (და არა: *<u>ანსახიერებს, ანთავისუფლებს, ანსხვავებს, ანვითარებს</u>*)...

რა მიქნია? *განა-მი-სახიერებია, განა-მი-თავისუფლებია, განა-მი-სხვავებია, განა-მი-ზოგადებია*...

სავარჯიშოები:

I. გაასწორეთ შეცდომები:

1. ის ყველა მოვალეობისაგან გაანთავისუფლეს.

2. როგორც ავღნიშნეთ, პრობლემა სერიოზულია.

3. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან დაიწყო.
4. ჩვენ ვანხორციელებთ ამ გეგმას.
5. ბევრი დაავადება, სამწუხაროდ, დღესაც ვერ ინკურნება, მედიცინა უძლურია მათ წინაშე.
6. ის ანზოგადებდა სათქმელს.
7. გთხოვთ, გამანთავისუფლოთ გაკვეთილებიდან ობიექტური მიზეზების გამო.
8. ჩვილები სიყვარულით ავღზარდეთ.
9. ქალბატონი ელენე გამოცდილი პედაგოგია და დღემდე არაერთ თაობას ღზრდის
10. ვერ ვანსხვავებთ ერთმანეთისაგან.
11. ამ სტატიაში ჩემი შთაბეჭდილებები ავღწერე.
12. მეცნიერი წარმატებით ანზოგადებს კონკრეტულ ფაქტებს და საგულისხმო დასკვნები გამოაქვს.
13. ამ როლს სოფიკო ჭიაურელი ანსახიერებდა.
14. ყველამ ავღნიშნეთ, რომ თქვენი ორგანიზაციის პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა.
15. ახალი ხელმძღვანელობა მიზანმიმართულად ანვითარებს თავის სტრატეგიულ გეგმას.
16. ლიამ ჩანაფიქრი წარმატებით განახორციელა და საზოგადოების მოწონებაც დაიმსახურა.

17. ჩვენი ფირმა ინტენსიურად ანახლებს თავის ტექნიკას.

18. ეს საგანი ბევრ უნარს ანვითარებს.

II. აწარმოეთ პირველი პირის ფორმები:

აღნიშვნა	აღვნიშნე
განვითარება	
განცვიფრება	
აღნუსხვა	
განზოგადება	
განმეორება	
განმარტება	
წარმოდგენა	
აღწერა	
აღრიცხვა	
განხორციელება	

განზრახვა	
განკურნება	
აღდგენა	
წარმოდგენა	
აღფრთოვანება	

9. ზმნის უღლებასთან დაკავშირებული მართლწერის სხვა საკითხები

9.1. თემის ნიშნები

ხშირად **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიანი ზმნების დაბოლოება მერყეობს.

თუ საწყისი **-ვა** მარცვალზე ბოლოვდება, ზმნას თემის ნიშნად **-ავ** ექნება, თუ **-მა**-ზე ბოლოვდება _ **-ამ:**

დასხმა _ ვასხ-ამ (და არა: ***ვასხავ)***

ხატვა _ ვხატ-ავ

სმა _ ვსვ-ამ (და არა: ***ვსვავ)***

წასმა _ ვისვ-ამ (და არა: ***ვისმევ)***

ჩაცმა _ ვიცვ-ამ (და არა: *ვიცმევ)*

დარტყმა _ ვარტყ-ამ (და არა: *ვარტყავ)*

დაბმა _ ვაბ-ამ (და არა: *ვაბავ)*

-ავ და **-ამ** თემის ნიშანი ზმნებს გადაჰყვებათ I თურმეობითშიც:

დაუმალავს, დაუბარავს, დაურტყამს, დამიხატავს, დამინახავს, დამირეკავს, დამიბამს, ჩამიცვამს (და არა: *დამიხატია*... და მისთ.)

უთემისნიშნოდ იხმარება შემდეგი ზმნები:

ა) ერთთემიან ზმნებს:

კვეთს, ხეთქს, კვეცს, იხვეჭს, ტეხს, ჩეჩს, ჩეხს, იღეღს, ჭექს, ყეფს, წერს, ხვეწს, (და არა: *<u>ვკვეთავ, ვჩეჩავ, ვიხვეჭავ</u>*...).

ბ) ხმოვანმონაცვლე ზმნებს:

ᲑᲑᲖᲔᲙს, ᲑᲜᲔᲓს, ᲑᲠᲔᲪს, ᲒᲚᲔᲡს, ᲒᲚᲔᲯს, ᲒᲠᲔᲮს, ᲓᲠᲔᲙს, ᲓᲦᲔᲑს, ᲖᲜᲔᲥს, ᲘᲭᲔᲠს, �კᲑᲔᲩს, ᲙᲕᲜᲔᲢს, ᲙᲛᲔᲜᲓს, ᲙᲠᲔᲤს, ᲙᲠᲔᲭს, ᲟᲚᲔᲢს, ᲤᲚᲔᲗს, ᲡᲠᲔᲡს, ᲤᲨᲔᲙს, ᲤᲨᲕᲜᲔᲢს, ᲤᲮᲔᲙს, ᲦᲚᲔᲢს, ᲧᲕᲚᲔᲤს, ᲨᲠᲔᲢს, ᲩᲮᲕᲚᲔᲢს, ᲪᲥᲕᲔᲢს, ᲬᲠᲔᲢს, ᲬᲧᲕᲔᲢს, ᲭᲧᲚᲔᲢს, ᲮᲕᲠᲔᲢს, ᲮᲕᲠᲔᲮს, ᲮᲚᲔᲩს ᲖᲔᲚს, ᲩᲥᲛᲔᲢს (და არა: *<u>ᲭᲧᲚᲘᲢᲐᲕს, ᲖᲘᲚᲐᲕს, ᲬᲧᲕᲘᲢᲐᲕს, ᲙᲠᲘ-ᲭᲐᲕს</u>*...)

ამ ზმნათა საწყისებია:

ტეხა, კვეთა, ხვეჭა, წყვეტა, კრეფა, ზელა (და არა: *ტეხვა, წყვეტვა*...).

-ია დაბოლოება ექნებათ შემდეგ ზმნებს კითხვაზე *რა მიქნია? გამიჟლეტია, დამიფლეთია, მომისრესია გამიტეხია, გამიკვეთია, მომიხვეჭია, მომიწყვეტია, გად-ამიწყვეტია, დამიკრეფია, მომიზელია, გამიფშვეკია ...*

სავარჯიშოები:

I. გაასწორეთ შეცდომები:

1. პრობლემებს ვერ ვწყვიტავდით.
2. რატომ ტირიხარ, ნანა?
3. ია, სად დგეხარ?
4. ბებიას მხოლოდ მე ვყევარ.
5. მაგას ჩივიხარ?
6. ის თოკს გრიხავს.
7. მამა ვაშლს კრიფავს.
8. რატომ აღარ მღერიხართ?
9. ლადო, ნუ ტირიხარ.
10. მათ დამნაშავეები დაუხვრიტავთ.
11. უფრო მამას ვგევარ.
12. მალე ამ საკითხსაც გადავწყვიტავთ.
13. ნამძინარევი პატარა თვალებს იფშვნიტავდა.

14. მაია ფეხსაცმელებს ბრიცავს.

15. რატომ ტირიხარ?

16. ის მომავალს ჭვრიტავს.

17. მან კარგი სამსახური იშოვნა.

18. სენი ჟლიტავდა მთელ ქვეყანას.

19. რა კარგად მღერიხარ!

20. ტყუიხარ, რამაზ!

21. უნდა ვიღწვოდეთ წარმატებისათვის.

22. არ მეგონა, თუ ამას ვინმე მოდრიკავდა.

23. ვერ იპოვნა ის ადამიანი, რომელსაც ეძებდა.

II. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი მოცემული ფორმებიდან და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას (მოწყვიტავს, მოწყვეტს, მოწყვეტავს):

ვარდს ეკა . . . . . .

III. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი მოცემული ფორმებიდან და ჩასვით სათანადო ადგილას (გაუჭლიტავს, გაუჟლეტია, გაუჟლეტნია):

ავადმყოფობას მთელი ლაშქარი . . . . . .

IV. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი მოცემული ფორმებიდან და ჩასვით სათანადო ადგილას (გაგვიწმენდია, გაგვიწმინდავს, გაგვიწმენდავს):

კომპიუტერი ვირუსებისაგან არ . . . . . .

V. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი მოცემული ფორმებიდან და ჩასვით სათანადო ადგილას (მოდრიკავდი, მოდრეკდი, მოდრეკავდი):

ამ ადამიანს შენ ვერ . . . . . .

VI. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი მოცემული ფორმებიდან და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას (გადაწყვეტს, გადაწყვიტავ, გადაწყვეტავ):

ამ საკითხს თავმჯდომარე . . . . . .

VII. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი მოცემული ფორმებიდან და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას (იფშვნეტს, იფშვნიტავს, იფშვნეტავს):

პატარა თვალებს . . . . . .

VIII. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი მოცემული ფორმებიდან და ჩასვით სათანადო ადგილას (კმინდავდა, კმენდდა, კმინდავდა):

მის დანახვაზე ყველა ხმას . . . . . .

IX. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი მოცემული ფორმებიდან და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას (გადამიწყვიტავს, გადამიწყვეტავს, გადამიწყვეტია):

საკითხი ჯერ არ . . . . . .

X. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი მოცემული ფორმებიდან და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას (მოუზილავს, მოუზელია, მოუზელავს):

მაკას ცომი არასოდეს . . . . . .

XI. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი მოცემული ფორმებიდან და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას (ფლეთს, ფლითავს, ფლეთავს):

პატარა ბარბარე ყველაფერს . . . . . .

9. 2. ვ ბგერის გაჩენა ზმნის ფორმებში

ვ ჩნდება **ა, ე** ბოლოხმოვნიანი სახელებისგანა ნაწარ-მოები ზმნების ყველა მწკრივში, გარდა II კავშირებითისა:

ქვა _ აქვა-ვ-ებს

აქვა-ვ-ებდა

აქვა-ვ-ებდეს

გააქვა-ვ-ებს...

გაუქვა-ვ-ებია

გაექვა-ვ-ებინა

გააქვა-ვ-ა

ასევე – *გაამხნე-ვ-ებს, გაამხნე-ვ-ა...*

მაგრამ: *გააქვა-ო-ს*

ქვა	*აქვავებს, (გააქვავა, გაუქვავებია)*
ხე	*ახევებს*
შრე	*აშრევებს*
მხნე	*ამხნევებს*
ხურდა	*ახურდავებს*
ქირა	*აქირავებს*
მხნე	*ამხნევებს*
ტყვე	*ატყვევებს*
ძიძა	*აძიძავებს*

-ო ბოლოხმოვნიანი სახელებისგან ნაწარმოები ზმნები კი მხოლოდ წარსულ დროში (კითხვაზე *რა ქნა?*) გამოავლენენ **-ვ-**ს:

ჯილდო _ აჯილდო-ებს, დააჯილდო-ებს, დააჯილდო-ოს, დაუჯილდო-ებია. მაგრამ: *დააჯილდო-ვ-ა.*

ასევე: *აუთო-ებს _ დააუთო-ვ-ა _ დააუთო-ოს*

აჯადო-ებს _ მოაჯადო-ვ-ა _ მოაჯადო-ოს

აფართო-ებს _ გააფართო-ვ-ა _ გააფართო-ოს

აახლო-ებს _ დააახლო-ვ-ა _ დააახლო-ოს

-უ ბოლოხმოვნიან სახელებისაგან ნაწარმოებ ზმნებში არსად არ ჩნდება **-ვ:**

აყრუ-ებს

დააყრუ-ებს

დააყრუ-ა

დააყრუ-ოს...

ქართულში გვაქვს -**ობ** დაბოლოებიანი ზმნები (ორი ან სამპირიანი), როგორებიცაა: *ვათბობ, ვაცხობ, ვაშრობ, ვაქრობ, ვახრჩობ, ვარჭობ* და მისთანანი.

ამ ზმნებს წყვეტილში (ანუ წარსულ სრულ დროში) **-ობ** თემის ნიშანი ჩამოშორდება:

ა) ზოგ შემთხვევაში უკვალოდ: (თუ I თურმეობითში (რა მიქნია?) **ვ** არ ჩანს)

ჩავაქრ-ე (რა მიქნია? *ჩამიქრია*) და არა: *<u>ჩავაქვრე</u>*

გავაშრ-ე

დავადნ-ე

დავაცხრ-ე

ბ) ზოგ შემთხვევაში -**ობ** დაბოლოების **-ო** კვალს ტოვებს -**ვ**-ს სახით: (თუ I თურმეობითში **ვ** გვაქვს):

გამოვაცხ-ვ-ე (რა მიქნია? *გამომიცხვია*)

დავახრჩ-ვ-ე

შევიტყ-ვ-ე

მოვაწყ-ვ-ე

დავაწყ-ვ-ე

შევაწყ-ვ-ე...

სავარჯიშოები:

I. რომელია სწორი? გახაზეთ.

უნდა დაახურდაოს _ უნდა დაახურდავოს

აჯილდოებს _ აჯილდოვებს

ჩავაქრე _ ჩავაქვრე

უნდა გაამხნეოს _ უნდა გაამხნევოს

დააჯილდოვოს _ დააჯილდოოს

გააფართოოს _ გააფართოვოს

უნდა გააქირაოს _ უნდა გააქირავოს

აფართოებს _ აფართოვებს

გამოვაცხვე _ გამოვაცხე

აჯადოვებს _ აჯადოებს

დავაწყვე _ დავაწყე

გავაშრე _ გავაშვრე

II. გაასწორეთ შეცდომები:

1. გუშინ სახლში გაჩენილი ცეცხლი ძლივს ჩავაქვრე.
2. ოსკარის ტრადიციულ ფესტივალზე საუკეთესო რეჟისორებსა და მსახიობებს დააჯილდოვებენ.
3. გემრიელი ხაჭაპური გამოვაცხე, მოდი, ჭამე...
4. არ მინდა, ჩემი მეომრები დაატყვევოს იმ გარეწარმა!
5. ხელიც არ შემტოკებია, ისე დავახრჩე!
6. სახლი თანამედროვედ მოვაწყე.
7. მომავალი წლიდან მაღაზია `გუდვილი~ თავის ქსელს გააფართოვებს.
8. არ გინდა, შენი ბინა გააქირავო?
9. სარეცხი ძლივს გავაშვრე.
10. ყინული დავადვნე და წყალი ისე მივიღე.

9. 3. ზმნის შედგენილი (მეშველზმნიანი) ფორმები

ცოცხალ მეტყველებაში გავრცელებულია რთულ ზმნათა პარალელური ფორმები:

ვუარვყოფ/უარვყოფ, ვსრულვყოფ/სრულვყოფ,

ვუგულებელვყოფ/უგულებელვყოფ, ვუზრუნველვყოფ

/ უზრუნველვყოფ, ვუთანაგრძნობ/თანავუგრძნობ და მისთ.

რთულ ზმნებში, რომლის პირველი ნაწილია სახელი და მეორე _ პირიანი ზმნა, პირის ნიშნები ზმნურ ნაწილს უნდა დაერთოს!

ამდენად, სწორი ფორმებია:

სრულ-ვ-ყოფ, სრულ-ვ-ყავი, სრულ-მ-ი-ყვია...

უარ-ვ-ყოფ

ცხად-ვ-ყოფ

უგულვებელ-ვ-ყოფ

უზრუნველ-ვ-ყოფ

შეურაცხ-ვ-ყოფ, შეურაცხ-ვ-ყავი (მართებული ფორმა სახელზმნისა იქნება *შეურაცხყოფა*).

ნათელ-ვ-ყოფ

უარ-ვ-ყოფ

ასევე: *თანა-ვ-უგრძნობ, თანა-მ-ი-გრძნობს* (და არა: *<u>ვუთანაგრძნობ, მითანაგრძნობს</u>*); *უკუ-ვ-აგდებ.*

რაც შეეხება ისეთ რთულ ზმნებს, რომლებიც ნაწარმოებია რთული სახელებისაგან, კომპოზიტებისაგან, და უმეტესად აქვთ **-ობ** დაბოლოება, პირის ნიშანი **ვ-** უნდა დაერთოს თავში:

ვ-თანამშრომლობ (და არა: *თანავმშრომლობ*)

ვ-ხელმძღვანელობ

ვ-ავადმყოფობ

ვ-წინასწარმეტყველებ

ვ-შუამავლობ

ვ-სულდგმულობ

III პირის ფორმათაგან გამომდინარე, ძირეული ხმოვანია **-ა**, რომელიც ხშირად არასწორად იცვლება **-ე** ხმოვნით: *ვდგევარ, ვგევარ, მგევხარ*...

ე. ი. ყურადღება უნდა მივაქციოთ მესამე პირის ფორ-მას, თუ რომელი ხმოვანი გვაქვს და იმის მიხედვით ვაწარ-მოოთ I და II პირის სწორი ფორმები:

ვდგავარ (და არა: *ვდგევარ*).

ვყავარ (და არა: *ვყევარ*)

ვგავარ...

ზოგჯერ *-ვარ, -ხარ* მეშველი ზმნა დაერთვის ზმნათა ისეთ ფორმებს, რომლებიც არ საჭიროებენ ამას. ასეთი უმართებულო ფორმებია: *ვმღერივარ, ვყვირივარ, ვტირივარ...*

სწორი ფორმებია:

ვიცინი, იცინი

ვტირი, ტირი

ვყვირი, ყვირი

ვკივი, კივი

ვტყუი, ტყუი

ვმღერი, მღერი

ვჩივი, ჩივი

სავარჯიშოები:

I. რომელია სწორი? გახაზეთ.

ვუზრუნველყოფ თუ უზრუნველვყოფ

ვთანამშრომლობ თუ თანავმშრომლობ

თანავუგრძნე თუ ვუთანაგრძნე

ხელვმძღვანელობ თუ ვხელმძღვანელობ

სრულვყავი თუ ვსრულყავი

მღერი თუ მღერიხარ

ვდგევარ თუ ვდგავარ

შეურაცხყო თუ შეურაცყო

II. აწარმოეთ I პირში სწორი ფორმები მოცემული ნიმუშის მიხედვით:

სრულყოფ-ს	სრულ-ვ-ყოფ
უარყოფ-ს	
თანამშრომლობ-ს	
ხელმძღვანელობ-ს	
ცხადყოფ-ს	
უგულვებელყოფ-ს	
უზრუნველყოფ-ს	
ავადმყოფობ-ს	
წინასწარმეტყველებ-ს	
შუამავლობ-ს	

III. გახაზეთ სწორი ფორმები:

ვმღერივარ, ვმღერი, ვყვირივარ, ვიცინი, ვტირი, ვყვირი, ვკივი, ვკივივარ, ვტყუი, ვტყუივარ, ვმღერივარ, ვჩივივარ, ვჩივი, ვტირივარ.

9. 4. კონტაქტის ფორმების მართლწერა

-ებ და **-ი** თემისნიშნიან ზმნათა კაუზატივის ანუ შუ-ალობითი კონტაქტის ფორმები **-ინ** ან **-ევინ** ელემენტებით იწარმოება:

წერს _ აწერ-ინ-ებს (და არა: *<u>აწერიებს</u>*)

აკეთებს _ აკეთებ-ინ-ებს

ჭრის _ აჭრ-ევინ-ებს

შლის _ აშლ-ევინ-ებს

-ავ და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა შუალობითი კონ-ტაქტის ფორმების წარმოებისას აუცილებელია **-ვ** და **-მ** თანხმოვნების შენარჩუნება:

ძერწ-ავ-ს _ აძერწ-ვ-ინ-ებს

კერ-ავ-ს _ აკერ-ვ-ინ-ებს

მალ-ავ-ს _ ამალ-ვ-ინ-ებს

აბ-ამ-ს _ აბ-მ-ევინ-ებს

ასხ-ამ-ს _ ასხ-მ-ევინ-ებს

ასევე: კრ-ავ-ს _ აკვრ-ევინ-ებს

ხნ-ავ-ს _ ახ-ვ-ნ-ევინ-ეს

ბღალ-ავ-ს _ აბღალ-ვ-ინ-ებს

ქართულში გვაქვს მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნები (***დგას, ზის***...), რომლებიც I და II პირში დაირთავენ -***ვარ, -ხარ*** მეშველ ზმნას:

ვ-დგა-ვარ, დგა-ხარ, ვ-ყა-ვარ, ყავ-ხარ, ვ-გა-ვარ, გავ-ხარ.

სავარჯიშოები:

I. გაასწორეთ შეცდომები:

1. ზაზამ ცოლს ბავშვები ბაღიდან მოაყვანია, დააბანია და ტანსაცმელი გამოაცვლევია.
2. ხატვის მასწავლებელი პირველკლასელებს სურა-თებს ახატინებს.
3. დანები აღარ ჭრის, მლესავს უნდა ავალესინო.
4. მასწავლებელი ძალიან მკაცრია და თავის მოსწავლეებს ზედმეტს არაფერს აბედინებს.
5. ელპიტე ბებია სოფელში ყველა საქმეს მე მაკეთებიებდა.
6. ეს ფურცელი დედას კარგად შეანახინე, კარგად გაუფრთხილდი!
7. თქვენი ტელეფონით დამარეკიეთ, თუ შეიძლება! – სთხოვა ლიამ მეზობელს.
8. გიორგი დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ ზაზას განზრახვამ ამ ნაბიჯის გადადგმა მაინც გადააწყვეტია.

II. აწარმოეთ კონტაქტის ფორმები მოცემული ნიმუშის მიხედვით:

ჩართვა	ჩაართვევინებს / ჩაართვევინა
წერა	
დახატვა	
გადაწყვეტა	
დაწვენა	
დაწყება	
დაგდება	
შემჩნევა	
შეკერვა	
გაზრდა	
მოკვლა	
ბარვა	
დარეკვა	
გაკეთება	

III. გაასწორეთ შეცდომები:

1. ნუცა მანქანას აკეთებიებს.
2. მან სახლი ცნობილ დიზაინერს დააპროექტებია.
3. ეკა პალტოს ნინოს აკერინებს.
4. საჩუქარი დედამ შეარჩევია.

5. მგზავრმა მძღოლს ავტობუსი გააჩერებია.

6. ბებიამ პაპას კაკალი სხვენში დააყრევია.

8. გაფუჭებული ტელევიზორი ხელოსანს დააშლევია.

9. შიშისაგან კანკალი დააწყებია.

10. გამყიდველს ხაჭაპურის ნაჭერი მოაჭრევია.

11. ლექტორი სტუდენტს ნახაზს ახაზინებს.

12. შარშანდელი ღვინო სტუმრებს დაალევია.

9. 5. ზოგიერთი თავისებური ზმნის მართლწერა

იღწვის თუ იღვწის?

მართებულია ***იღვწის***, რადგან ამოსავალია ძირეული ფორმა: ***ღვაწლი, იღვაწა***.

წვრთნის თუ წრთვნის?

მართებულია ***წვრთნის*** (მვ-ქართ. ძირია ***წუართ-***), ***წვრთნა, მწვრთნელი***.

იპოვის, იშოვის თუ იპოვნის, იშოვნის?

პოვნა, შოვნა ფორმებში **ნ** საწყისის ნიშანია, ამდენად, ის ზმნურ ფორმაში არ გადავა. მართებული ფორმები იქნება: ***იპოვის, იპოვა, უპოვია; იშოვის, იშოვა, უშოვია*** (და არა: ***<u>იპოვნა, იშოვნა</u>***..).

სავარჯიშოები:

I. გახაზეთ სწორი ფორმები:

1. მთელი თავისი ცხოვრება მამულისათვის იღვწოდა;
2. ვახტანგი თავის ძაღლს სანადიროდ წვრთნის;
3. რომ ვერ იშოვოს ფული?
4. მუამარ კადაფი გამალებული წრთვნიდა თავის ერთგულ ჯარისკაცებს.
5. რატომ იღწვის ასე ამ თანამდებობის დასაკავებლად?
6. თუ თავის ქუდს იპოვის, მეც გამაგებინეთ.
7. რამე სამსახურს მაინც იშოვნის...
8. დიდხანს ეძებდა და, როგორც იქნა, იპოვნა.

9. 6. რიცხვში მონაცვლე ზმნები

რიცხვში მონაცვლე ზმნებია:

ჯდომა _ სხდომა (მაგ.: *მე ვზივარ, ჩვენ ვსხედვართ*)

ვარდნა _ ცვივნა (მაგ.: *ფოთოლი ვარდება, ფოთლები ცვივა*)

კვდომა _ ხოცვა

(ჩა)სმა _ (ჩა)სხმა

ბმა _ სხმა

ტეხა _ მტვრევა

აღება _ აკრეფა

მოწყვეტა _ მოკრეფა

თუ ქვემდებარე კრებითი სახელია და შემასმენელი რიცხვში მონაცვლე ზმნით არის გამოხატული, გამოიყენება ამ უკანასკნელის მრავლობითი რიცხვის ფუძე მხოლობითი რიცხვის ფორმით. სწორია:

ხალხი დასხდა და არა: *ხალხი დაჯდა*.

რიცხვში მონაცვლე ზმნათა მნიშვნელობა გადაჰყვებათ მათგან ნაწარმოებ სახელზმნებსაც:

გადაგდებული (ერთი რამ), გადაყრილი (ბევრი); ჩავარდნილი _ ჩაცვენილი; ჩამომჯდარი _ ჩამომსხდარი. კრებით სახელებთან:

დამსხდარი ხალხი (და არა: *დამჯდარი ხალხი*)...

სავარჯიშოები:

I. გაასწორეთ შეცდომები:

1. ჭიქები გატყდა.
2. ესენი შენ დააგდე?
3. მძიმე ავადმყოფობით მოკვდნენ.
4. აქ ჩვენ ვიჯექით.
5. მოწვეული კოლეგები ჯერ არ დაუსვამს დარბაზში.
6. გახარებულები ეზოში გავარდნენ.
7. ხალხი პირველ რიგებში დასხდნენ.
8. სანაპიროზე ულამაზესი ქვები ეგდო.
9. გაბრაზებულმა დედამ შვილები გარეთ გააგდო.
10. ისინი მძიმე დღეში ჩავარდნენ.
11. ესენი აქ რატომ გიგდია?
12. მის იუმორზე ყველა სიცილით მოკვდა.
13. ჯერჯერობით ჩვენ არ დავმჯდარვართ.
14. ჩემს შვილს გადავაგდებინებ ძველ გაზეთებს.
15. ჩემი ძველი ნივთები გადავაგდე.
16. დღეს ბუზები მოვკალი.
17. ამ ხეს გემრიელი ვაშლები აბია.
18. ავტობუსში იშვიათად ვჯდებით.
19. სტუმრებმა შემთხვევით გატეხეს ჭიქები.
20. მისი მშობლები ავარიაში მოკვდნენ.

10. ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში

შემასმენელი მხოლობით რიცხვშია, როცა:

ა) ქვემდებარე მხოლობით რიცხვშია:

მასწავლებელი საუბრობს

ბ) ქვემდებარე რაოდენობითი რიცხვითი სახელია, ან ნაცვალსახელია:

ბევრი მოვიდა

ყველა იცინის

გ) ქვემდებარე კრებითი სახელია:

სოფელი აყაყანდა

ჯარი ისვენებს

დ) ქვემდებარეს განსაზღვრებად რიცხვითი სახელი აქვს:

ხუთი ადამიანი მოვიდა

ე) ქვემდებარე უსულო საგანია -ებ-იან მრავლობითში:

სკამები დგას

მდინარეები ადიდდა

ვ) ქვემდებარე *დედა-შვილი*-ს ტიპის კომპოზიტია:

ცოლ-ქმარმა მოილაპარაკა

და-ძმა მოგზაურობს

შემასმენელი მრავლობით რიცხვშია, როცა:

ა) ქვემდებარე მრავლობით რიცხვში წარმოდგენილი სულიერი სახელია:

ბავშვები თამაშობენ

ძროხები ბღავიან

ბ) ქვემდებარე ნართანიან მრავლობითშია:

ფოთოლნი დაჭკნნენ

ბ) უსულო ქვემდებარე გაპიროვნებულია:

თოჯინები იცინიან

გ) **და და ძმა** (და კავშირით შეერთებული) ქვემდებარეა

პაპა და ბებია მცხეთაში ცხოვრობენ

სავარჯიშოები:

I. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (იცინოდნენ, იცინოდა):

ბავშვები ხმამაღლა . . . . . .

II. გახაზეთ სწორი ფორმა:

ჩემი დედ-მამა ამერიკაში მუშაობენ.

ჩემი დედ-მამა ამერიკაში მუშაობს.

III. დააბოლოეთ ზმნა:

ღრუბლები ერთმანეთს ეჯახებოდ. . . .

IV. გაასწორეთ შეცდომა:

ახალგაზრდობა გამოცდილებას იღებდნენ.

V. დააბოლოეთ ზმნა:

პრემიერის შემდეგ სამმა კრიტიკოსმა ისაუბრ. . . . .

VI. გახაზეთ სწორი ფორმა:

გუშინ ჩვენთან სიდედრ-სიმამრი მოვიდნენ.

გუშინ ჩვენთან სიდედრ-სიმამრი მოვიდა.

VII. ჩასვით მრავალწერტილის ადგილას დაშვებასაგან ნაწარმოები ზმნა შესაბამისი ფორმით:

ყველამ ბევრი შეცდომა . . . . . .

VIII. გაასწორეთ შეცდომა:

მაყურებელი აღფრთოვანებული დარჩნენ.

IX. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (მიდიან, მიდის):

ცოლ-ქმარი მივლინებაში . . . . . .

X. დააბოლოეთ ზმნა:

მათი ყველა მეგობარი რესტორანში მოვიდ. . . .

XI. გაასწორეთ შეცდომა:

ჩემი ბებია და პაპა ფილმს უყურებდა.

XII. ჩასვით მრავალწერტილის ადგილას საუბრისაგან ნაწარმოები ზმნა სათანადო ფორმით:

დედა-მამა საინტერესო თემებზე . . . . . .

XIII. გაასწორეთ შეცდომა:

ყურძნის მოსაკრეფად ყველა დადიოდნენ.

XIV. გახაზეთ სწორი ფორმა:

დედ-მამამ შეხედეს შვილს.

დედ-მამამ შეხედა შვილს.

XV. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (ექიმები იყო, ექიმი იყო, ექიმები იყვნენ):

ჩემი ბიძა-ბიცოლა . . . . . .

XVI. გაასწორეთ შეცდომა:

ჩემი მეზობლები ეკონომისტებია.

XVII. დაბოლოეთ ზმნა:

სამი ბავშვი ტიროდ. . .

XVIII. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (მოხიბლული ვიყავით, მოხიბლულები ვიყავით):

ახალგაზრდები მისი მშვენიერებით . . . . . .

XIX. გაასწორეთ შეცდომა:

ორივემ უცნობს შეხედეს.

XX. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (იზრდებიან, იზრდება):

აქ მუხები . . . . . .

XXI. გახაზეთ სწორი ფორმა:

გაზაფხულზე ენძელა და ია აყვავდებიან.

გაზაფხულზე ენძელა და ია აყვავდება.

XXII. მრავალწერტილის ადგილას ჩასვით ჭიკჭიკისაგან ნაწარმოები ზმნა სათანადო ფორმით:

ჩიტები საამურად . . . . . , ...

XXIII. გახაზეთ სწორი ფორმა:

გიორგი და ერეკლე მანქანას აკეთებენ.

გიორგი და ერეკლე მანქანას აკეთებს.

XXIV. გაასწორეთ შეცდომა:

მარია და ნუკა ახლო მეგობრებია.

XXV. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (უცხო იყვნენ, უცხოები იყვნენ):

ეს მხატვრები ყველასათვის . . . . . .

XXVI. გახაზეთ სწორი ფორმა:

მისი სითამამით გაოცებული ვიყავით

მისი სითამამით გაოცებულები ვიყავით.

XXVII. გახაზეთ სწორი ფორმა:

ახალი თანამშრომლები ახალგაზრდები არიან.

ახალი თანამშრომლები ახალგაზრდებია.

XXVIII. დააბოლოეთ ზმნა:

შენობის წინ მათი რამდენიმე ნაცნობი შეიკრიბ...

XXIX. გაასწორეთ შეცდომა:

ამ წვრთნებზე მხედრობამ კარგი გამოცდილება მიიღეს.

XXX. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით სათანადო ადგილას (თამაშობდნენ, თამაშობდა):

მამა-შვილი ფრენბურთს . . . . . .

XXXI. დაამოლოეთ ზმნა:

ახალგაზრდობა სტადიონზე შეგროვდ. . . . .

XXXII. გახაზეთ სწორი ფორმა:

ჩვენი ნათესავები მსახიობებია.

ჩვენი ნათესავები მსახიობები არიან.

XXXIII. დაამოლოეთ ზმნა:

პატარები ჩიტებივით ჟღურტულებდ. . . .

XXXIV. გახაზეთ სწორი ფორმა:

პაპას დარგული კაკალი და ატამი გახმა.

პაპას დარგული კაკალი და ატამი გახმნენ.

XXXV. დაამოლოეთ ზმნა:

ღრუბლები ტალღებივით მიცურავდ. . .

XXXVI. შეარჩიეთ სწორი ფორმა მოცემული ნიმუშებიდან და ჩასვით მრავალწერტილის ადგილას (ბობო-ქრობდნენ, ბობოქრობდა):

ზვირთები . . . . . .

XXXVII. გახაზეთ სწორი ფორმა:

ზამთარში მდინარე და წყარო გაიყინა.

ზამთარში მდინარე და წყარო გაიყინნენ.

11. ზმნიზედების მართლწერა

დაიმახსოვრეთ:

მოქმედებითი ბრუნვის ფორმისგან მიღებული ზმნიზედების ბოლოს იწერება **-თ** (და არა: **-დ**):

შიგნით, უნებლიეთ, ზევით / ზემოთ, ქვევით / ქვემოთ, წინათ, გარეთ...

ზმნიზედებთან, რომლებიც მიღებულია ვითარებითი ბრუნვის ფორმისგან, იწერება **-დ** (და არა: **-თ**):

მოულოდნელად, ცუდად, უეცრად, უცბად...

სწორი ფორმებია:

ალბათ, აქეთ _ იქით; აქედან, აქეთკენ _ იქიდან, იქით-კენ ფორმები (და არა: ***<u>იქეთ, აქით</u>***...).

მართებული ფორმებია:

ახლა, ახლავე, ახლახან, ასე, ასე რომ, ასე შემდეგ

სწორად და ***სწორედ*** _ ორივე ფორმის ხმარება მართებულია, მაგრამ ისინი განსხვავებული მნიშვნელობის არიან:

სწორად ფორმას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: თანაბრად, პირდაპირ, უშეცდომოდ, მართებულად. მაგ.: ***სწორად ვკითხულობ; სწორად*** (ე. ი. მართებულად) ***ვწერ***...

სწორედ იხმარება ზუსტად, სახელდობრ, ნამდვილად, მართლაც სიტყვების შესაბამისად: ***სწორედ ამიტომ წავედი; სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა...***

დასასრულ ფორმა უნდა ვიხმაროთ ზოგადად მო-ქმედების დამთავრების მნიშვნელობით და მძიმით გა-მოვყოთ: ***დასასრულ, უნდა შევეხოთ ერთ საკითხს***.

მაგრამ თუ ,,დასასრული˜ ნახმარია ამა თუ იმ ღონ-ისძიების ბოლო ნაწილის მნიშვნელობით, მაშინ მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი აუცილებელია: ***სხდომის დასასრულ-ი, სხდომის დასასრულ-ს...*** მაგ.: ***კონფერენციის დასასრულს გაიმართა მიღება.***

და-თი დაკავშირებული ზმნიზედები იწერება ერთად: ***ხანდახან, თანდათან, გზადაგზა, დღედაღამ*** (მაგრამ: ***დღე და ღამე***), ***წინდაწინ, პირდაპირ, ფეხდაფეხ, წამდაუწუმ, მაინცდამაინც.***

ცალ-ცალკე იწერება: ***ბოლოს და ბოლოს*** (მცდარი ფორმაა: ***<u>ბოლო-ბოლო</u>***) ***მხოლოდ და მხოლოდ, უფრო და უფრო, არამც და არამც, კვლავ და კვლავ...***

ფუძეგაორკეცებული ზმნიზედები დეფისით უნდა დაიწეროს:

ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა, ნაპირ-ნაპირ,

ჩუმ-ჩუმად, ჯგუფ-ჯგუფად...

ერთად იწერება შერწყმული ზმნიზედები:

დიდხანს, ცალმხრივ, დღითიდღე, ყოველმხრივ,

მეტისმეტად, დროგამოშვებით...

ზემო, ქვემო თანხმოვანმოკვეცილი ზმნიზედები მიმ-ღეობურ ფორმებთან ერთ სიტყვად იწერება:

ზემოაღნიშნული, ზემოგანხილული, ზემოდასახელებული,

ზემოჩამოთვლილი, ქვემოაღნიშნული, ქვემომოხსენებული

და მისთ.

პარალელურად გვხვდება:

ზემოთ აღნიშნული, ქვემოთ დასახელებული...

დროის ზმნიზედა გადმოიცემა მიცემითი ბრუნვის ფორმით, თუმცა თანდათან მოხშირდა სახელობითი ბრუნვის გამოყენების შემთხვევები.... უმჯობესია მიცემითი ბრუნვა გამოვიყენოთ:

ელოდა მთელ დღეს, უცდიდა ორ წელს, იარა ორ დღეს...

სავარჯიშოები:

I. გახაზეთ სწორი ფორმები:

ნელ-ნელა; ჩქარჩქარა; ბოლოსდაბოლოს;

უნებლიედ; აქით; დიდი ხანი ელოდა; მაინც-

დამაინც; დიდხანს; იქეთ; სრულიად;

მოულოდნელათ; ნაბიჯნაბიჯ; შედეგად;

მხოლოდდამხოლოდ; ალბად; ზემო აღნიშნული;

ზევით; ხუთი დღე ელოდა; აბსოლიტურად;

ზემოდასახელებული; წინად; ქვემოთ-მოხმობილი;

ზემოაღნიშნული; ქვევით; ზემოთაღნიშნული; შვიდ

წელს მუშაობდა; იოლათ; აუცილებლათ.

II. გაასწორეთ შეცდომები:

უცბათ ხმაური შემომემა.

უფროდაუფრო გალამაზდა.

მშვიდათ შეხვდა ამ ამბავს.

ამაოთ ვიარე, ვერაფერი ვიპოვე.

მაინც და მაინც დღეს მოხდა ყველაფერი.

ეკა ხშირათ მოგზაურობს.

წინად ცხოვრება ჭირდა.

უცბათ ამინდი შეიცვალა.

დრო გამოშვებით სოფელშიც ჩადიოდა.

ახლახანს ევროპაში ვიმოგზაურე.

ის ყოველ-მხრივ მოწესრიგებული ადამიანია.

აშკარათ გამოიკვეთა პრობლემა.

ეს პროექტი ეხლახანს დაამტკიცეს.

იქედან კარგი ამბები ისმის.

ჩვენც სწორად მაგას ვამბობდით.

დასასრულს მინდა მადლობით დაგემშვიდობოთ.

ჯერ-ჯერობით არაფერი შეცვლილა.

მან უნებლიედ შეხედა ნოდარს.

მეც იქეთკენ მივდივარ.

გარედ ცივა.

მან სწორედ მიპასუხა.

ის უპრობლემოთ ცხოვრობს.

ნელნელა უახლოვდებოდნენ მიზანს.

მან სრულიათ ახლებურად დაინახა პრობლემა.

ბოლო-ბოლო პრემიერა გაიმართა.

იქეთ, მდინარის მეორე ნაპირას, ბიძაჩემი ცხოვრობს.

ის დღე და ღამ მუშაობდა.

აქითკენ ახალი შენობები ააშენეს.

დიდ ხანს ფიქრობდა ახალ ამბავზე.

სიცილსიცილით მიდიოდნენ ახალგაზრდები.

ნელნელა ყველაფერი შეიცვალა.

შენც იქედან ხარ?

ნაწილნაწილ დატოვეს შენობა.

ისინი ჯგუფ-ჯგუფათ ერთიანდებოდნენ.

მან უცბათ მიიღო გადაწყვეტილება.

პატარას ტკბილათ ჩაეძინა.

მალმალე იცვლება მისი გადაწყვეტილებები.

ის ხშირ-ხშირათ იმოწმებდა ცნობილ ადამიანთა გამონათქვამებს.

აუცილებლათ მოვალ.

იქედან როდის ჩამოდიხარ?

მან უპრობლემოთ მოაგვარა საკითხი.

ის სისტემატურათ ესწრება სხდომებს.

თამარი უფროდაუფრო გალამაზდა.

12. სათაურების მართლწერა; სიტყვათა შემოკლების წესები

12. 1. სათაურების მართლწერა

თხზულების, გაზეთის ან ჟურნალის ერთსიტყვიანი სახელწოდება ჩვეულებრივ იბრუნვის, როგორც ცალკე წარმოდგენილი, ისე მსაზღვრელთან ერთად:

გაზეთი „ქუთაის-ი~

გაზეთ-მა „ქუთაის-მა~

გაზეთ „ქუთაის-ს~

გაზეთ „ქუთაის-ის~

გაზეთ „ქუთაის-ით~

გაზეთ „ქუთაის-ად~

გაზეთ-ო „ქუთაის-ო~

მსაზღვრელ საზღვრულის მსგავსად იბრუნვის ორ- და მეტსიტყვიანი სათაურები: *"ვაზის ყვავილობა"*, *"მარტის მამალი" და ა. შ.*

თანდებულიან ბრუნვებში თანდებული ბრჭყალების შიგნით იწერება. მაგ.: *რომან „ჯაყოს ხიზნებში~* (და არა *„ჯაყოს ხიზნებ~-ში*).

თუ სათაური მოცემულია წინადადების სახით (მაგ.: ,,*კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა*˜) ან თანდებულიანია (,,*სარჩობელაზედ*˜) ან გადმოცემულია სხვა ბრუნვის ფორმით (,,*ნინა ჭავჭავაძეს*˜) არ უნდა დაერთოს ბრუნვის ნიშნები, უნდა ვარბუნოთ მსაზღვრელი და თანდებულებიც მას დავურთოთ:

ლექსი-ი ,,არ უკიჟინო სატრფოო˜

ლექს-მა ,,არ უკიჟინო სატრფოო˜

ლექს-ს ,,არ უკიჟინო სატრფოო˜

ლექს-ის ,,არ უკიჟინო სატრფოო˜

ლექს-ით ,,არ უკიჟინო სატრფოო˜

ლექს-ად ,,არ უკიჟინო სატრფოო˜

ლექს-ო ,,არ უკიჟინო სატრფოო˜

ლექს-ში ,,არ უკიჟინო სატრფოო˜

(და არა: *ლექს ,,არ უკიჟინო სატრფოო˜*,)

სავარჯიშოები:

გაასწორეთ შეცდომები:

1. ლექსში “მთაწმინდის მთვარე”-ში გადმოცემულია ბუნების აღწერა.
2. ნაწარმოებ “სურამის ციხემ” მკითხველის მოწონება დაიმსახურა.

3. ლექსს “განთიადს”აკაკი დიმიტრი ყიფიანს უძღვნის.

4. “შვლის ნუკრის ნაამბობ”-ზე ბევრი რამ მსმენია.

5. ლექსმა ä”არ უკიჟინო სატრფოომ” გადმოგვცა ბარათაშ-ვილის ტკივილი.

6. ნაწარმოებში “კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდაში” გადმოცემულია საინტერესო პიროვნების ცხოვრება.

7. მოთხრობა “ამოდის, ნათდებაში” საინტერესო ფაქტებია აღწერილი.

8. რომანზე “დიდოსტატის მარჯვენაზე” ბევრი რამ თქმულა.

12. 2. სიტყვათა შემოკლების წესები

ქართულ ენაში დამკვიდრებულია სიტყვათა შემოკლების შემდეგი წესები:

1. ადამიანის სახელის გვართან ერთად გამოყენებისას უფრო მისაღებია სახელის ერთი ბგერით წარმოდგენა:

კ. გამსახურდია, ვ. ჰიუგო, ა. აბაშელი, ი. ჯავახიშ-ვილი

გაიხსენეთ: ფსევდონიმებისა და წოდებების გამომხატველი გვარ-სახელების შემოკლება არ შეიძლება: არ იხმარება: *ქ. <u>წამებული</u>, <u>დ. თავდადებული</u>* და ა. შ.

2. დროის ერთეულები მოკლდება შემდეგი სახით:

წმ. _ წამი	*წ. _ წელი*
წთ. _ წუთი	*წწ. _ წლები*
სთ. _ საათი	*ს. _ საუკუნე*
ა. წ. _ ამა წლის	*სს. _ საუკუნეები*

წონისა და სიგრძის საზომი ერთეულები:

მგ. _ მილიგრამი	*მმ. _ მილიმეტრი*
გ. _ გრამი	*სმ. _ სანტიმეტრი*
კგ. _ კილოგრამი	*დმ. _ დეციმეტრი*
ც. _ ცენტნერი	*კმ. _ კილომეტრი*
ტ. _ ტონა	*ჰა _ ჰექტარი*
	კვ. მ. _ კვადრატული მეტრი

3. ტექსტთან დაკავშირებული შემდეგი შემოკლებანი:

თხზ. _ თხზულება	*სქ. _ სქოლიო*
შრ. _ შრომა	*იხ. _ იხილე*
ტ. _ ტომი	*შდრ. _ შეადარე*
თ. _ თავი	*ნ. _ ნახე*
ნაწ. _ ნაწილი	*ნახ. _ ნახატი*
გვ. _ გვერდი	*მაგ. _ მაგალითად*
ავტ. _ ავტორი	

4. წოდებათა და თანამდებობათა აღმნიშვნელი შემოკლებანი:

აკად. _ აკადემიკოსი

დოც. _ დოცენტი

ლაბ. _ ლაბორანტი

პროფ. _ პროფესორი

მასწ. _ მასწავლებელი

აკად. წ/კ _ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

5. კავშირ-ზმნიზედები შემდეგი სახით მოკლდება:

ე. ი. _ ესე იგი

ა. შ. _ ასე შემდეგ

მისთ. _ მისთანანი
სხვ. _ სხვა
ე. წ. _ ეგრეთ წოდებული

6. დამკვიდრებულია შემდეგი სახის შემოკლებანი:

ექ. _ ექიმი
ინჟ. _ ინჟინერი
ქ.-ნი _ ქალბატონი
ბ.-ნი _ ბატონი

დაიმახსოვრეთ: ბრუნვის ნიშნები ან თანდებულები შემოკლებული სახელებიდან დეფისით გამოიყოფა: 7 ჰა-ზე ვენახი გავაშენეთ, 2010 წ.-მა წარმატებები მოგვიტანა.

სავარჯიშოები:

I. გაასწორეთ შეცდომები:

1. ეი. შენ იყავი?
2. ეგრ. წოდ. სამშვიდობოები მოვალეობას ვერ ას-
   რულებდნენ
3. ტომ. I, ნაწილი II
4. ნიკ. ბარათაშვილი დიდი ქართველი პოეტია.

5. 1 ცენტ. ხორბალი დევნილებს გადაეცათ.

6. შეად. Kკონსტიტუციის II მუხლს.

7. XIX-XX ს ახალი ეპოქის დასაწყისი გახდა.

8. აკ. წერეთელი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

9. 2008 წ-მ დღის წესრიგში ახალი პრიორიტეტები დააყენა.

9. პროფეს. ვეკუას შრომები საყოველთაოდაა ცნობილი.

10. 2010 წლ. კარგად დასრულდა

11. 7 ტნ. ყურძენი მოვიდა.

პუნქტუაცია

13. სასვენი ნიშნები

(წერტილი, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, კითხვით-ძახილის ნიშანი, მრავალწერტილი, წერტილ-მძიმე, ორწერტილი, ტირე, ფრჩხილები, ბრჭყალები)

ა. წერტილი იწერება

1. თხრობითი წინადადების ბოლოს წერტილი იწერება:

დრო გავიდა. ნიკა გაიზარდა. ის საუკეთესო პიროვნება დადგა.

2. შემოკლებისას

ე. ი.

წერტილი არ იწერება:

1. სათაურის ბოლოს;

2. ციტატის ბოლოს, როცა მას მოსდევს ფრჩხილებში ჩასმული მითითება, ავტორის, წყაროს დასახელება:

"ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა" (შექსპირი).

სავარჯიშოები:

I. დასვით სასვენი ნიშნები:

ნიკა კარგი ბიჭია

პროფ გამცემლიძე ჩემი ლექტორია

ნათიამ გუშინ დამირეკა

თეონა ჩემი ახლო მეგობარია

“რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები” (გალაკტიონი)

ბ. კითხვის ნიშანი

კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი იწერება. მაგ.:

რა გინდა? რომელი საათია?

სავარჯიშოები:

I. დასვით სასვენი ნიშნები:

რას აპირებ

შენ არ მოხვალ

ეს ბავშვი შენი შვილია

რას წერ

რა გინდა

არ დაიღალე

არ გშია

გ. ძახილის ნიშანი

ძახილის ნიშანი დაისმის:

1. ძახილის წინადადების ბოლოს:

როგორ მომწონს!

2. ბრძანებითი წინადადების ბოლოს:

მისმინეთ! გაჩუმდით!

3. მიმართვასთან, თუ ის ცალკეა, ან წინადადების თავსა თუ ბოლოშია:

დავით! _ დაუძახა მასპინძელს.

4. და შორისდებულებთან, თუ ისინი წარმოთქმულია დიდი გრძნობით:

ვაშა! ვაშა! _ ყვიროდნენ ახალგაზრდები.

სავარჯიშოები:

I. დასვით სასვენი ნიშნები:

1. რა ლამაზია
2. როგორ დავიღალე
3. ბრავო ბრავო _ ყვიროდა მაყურებელი
4. ნიკო _ დაუძახა თავის ვაჟს
5. მოიცადეთ ხმას ნუ იღებთ
6. არ მომწონს, სხვა შემოიტანე

დ. კითხვით-ძახილის ნიშანი

კითხვისა და ძახილის ნიშნები ერთად იმ შემთხვევაში იწერება, როცა კითხვასთან ერთად გამოხატულია გაკვირვება, აღტაცება... მაგ.:

სად მიდიხარ, ნინო?! რატომ კამათობ, ყმაწვილო?!

სავარჯიშოები:

I. დასვით სასვენი ნიშნები:

1. რატომ არ მოხვედი, მაკა
2. საიდან რეკავ, ერეკლე
3. რატომ მეჩხუბები, მარია
4. ნუთუ ჯერ არ გისადილია
5. ეს საიდან მოიტანე

ე. მრავალწერტილი

მრავალწერტილით აღინიშნება:

1. როცა სათქმელი არასრულადაა წარმოდგენილი, დაუმთავრებელია, შეწყვეტილ-დაყოვნებულია ან ნაწილ-ნაწილ წარმოითქმის:

შენ.. შენ... შენ მოხვედი, რომ... რა... რა გინდა?

2. არასრული ციტირება:

,,დედაო ღვთისა, მზეო მარიამ...˜_ მიმართავს პოეტი ღვთისმშობელს.

სავარჯიშოები:

I. დასვით სასვენი ნიშნები:

1. მას მას მას არ უნდა ეთქვა
2. ნიკას ნიკას არა ხმას აღარ ამოვიღებ
3. “მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“ _ ამბობს ილია ჭავჭავაძე
4. აქამდე ხმას არ ვიღებდი ყველაფერს ვითმენდი ახლა კი აღარ შემიძლია.
5. დედ უნდოდა ეთქვა მერის, მაგრამ ვერ ახერხებდა

ზ. ორწერტილი

ორწერტილი დაისმის:

1. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრების ჩამოთვლის წინ, თუ ერთგვარი წევრები განმაზოგადებელი (გამაერთიანებელი) სიტყვის შემდეგაა:

ყველაფერი ვიყიდე: ბოსტნეული, ხილი, ყველი, ტკბილეული.

2. რთული წინადადებაში, როცა მეორე ნაწილი გადმოგვცემს პირველის ვრცელ, გაშლილ ახსნა-განმარტებას, მიზეზს, მიზანს ან შედეგს, განმარტავს პირველი ნაწილის მნიშვნელობას:

შეხვედრა ორ დღეში იყო დანიშნული: უნდა გადაეწყვიტათ დამნაშავის ბედი.

3. პირდაპირი ნათქვამის წინ, თუ ის ავტორის სიტყვების შემდეგაა:

დაუძახა: _ სად მიდიხარ?

სავარჯიშოები:

I. დასვით სასვენი ნიშნები:

1. დედამ ყველაფერი მოამზადა სახლი დაალაგა, ნამცხვარი გამოაცხო, სარეცხი დარეცხა
2. მე გავაკეთე ქართული კერძები ბაჟე, საცივი, ისპანახის ფხალი
3. მასპინძლები ორ საათში მოვლენ ხვალინდელი მოლაპარაკებების პრობლემა უნდა გადავწყვიტოთ
4. გასძახა _ მანდ რას აკეთებ?
5. დედამ შეხვედრა 5 საათზე დანიშნა ჩემ შესახებ მასწავლებელთან უნდა ესაუბრა

თ. ტირე

ტირე იწერება:

1. შემასმენლის გამოტოვებისას:

ნიკას ფეხბურთი უყვარს, თემურს _ რაგბი.

2. როცა შედგენილ შემასმენელში გამოტოვებულია ზმნური ნაწილი (მეშველი ზმნა) ან კავშირი:

ეს ჩემი მანქანაა, ის _ ჩემი უფროსის.

3. განმაზოგადებელ სიტყვასთან შერწყმულ წინადადებაში, როცა განმაზოგადებელ სიტყვა ერთგვარი წევრების შემდეგაა წარმოდგენილი:

Dდედა, მამა, ბებია _ ყველა ძალიან ღელავდა.

7. დიალოგების მონაწილეთა ყოველი ნათქვამის დროს:

_ ვის ურეკავ?

_ ნოდარ აბულაძეს.

სავარჯიშოები:

I. დასვით სასვენი ნიშნები:

1. შენ რა გქვია
   მე ეკა შენ რა გქვია
   მე რობერტი ვარ
   რობერტ, სადაური ხარ
   მე ქართველი ვარ, შენ

2. თეა ქართველია, ემა სომეხი

3. ცეკვა, სიმღერა, დაკვრა ყველაფერი ეხერხებოდა

4. ეს ნუცას ჩანთაა, ის ელენესი

5. ტორტი, შოკოლადი, ღვეზელი ყველაფერი მიყვარს

ი. ფჩხილები

ფრჩხილებში ჩაისმის:

1) სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც განმარტავენ წინა სიტყვის მნიშვნელობას:

თქვენი რეზიუმე (სამოტივაციო წერილი) უკვე განვიხილეთ.

2) ჩართული სიტყვები და წინადადებები, რომლებიც იძლევა დამატებით ცნობას, ახსნა-განმარტებას თუ შენიშვნას ძირითადად წინადადებაში გამოთქმულ აზრთან დაკავშირებით:

ნესტანმა (ჩვენმა ახალმა თანამშრომელმა) პრეზენტაცია გამართა.

3) მსმენელთა რეაქცია სტენოგრაფიულ ჩანაწერებში:

მაგალითად:

(ტაში), (შეძახილები), (მქუხარე ტაში), (სიცილი), (გამოცოცხლება დარბაზში).

4) რემარკები დრამატულ ტექსტში:

რეზო (დადის ოთახში): _ რა ბედნიერი დღე გამითენდა.

სავარჯიშოები:

I. დასვით სასვენი ნიშნები:

1. პროფესორმა ქავთარაძემ ჩვენმა ლექტორმა გამოცდა ჩაიბარა
2. თეამ ჩემმა კოლეგამ ახალი მანქანა იყიდა
3. თაიას ჩემს მასწავლებელს სამი შვილი ჰყავს
4. იაკობს ამ სახლის მშენებელს საუკეთესო ინჟინრის სახელი აქვს
5. თბილისი საქართველოს დედაქალაქი ჩემი საყვარელი ქალაქია

კ. ბრჭყალები

ბრჭყალებში ჩაისმის:

1. უცვლელად მოყვანილი ციტატები, სხვისი გამოთქმები:

რუსთაველმა ბრძანა: `ლეკვი ლომისა სწორია~.

2. წიგნის, ჟურნალ-გაზეთების, ორგანიზაციის, დაწესებულების, ნაწარმოების, კინოფილმის, სპექტაკლის, ტრანსპორტისა თუ სხვათა სახელწოდებები:

სპექტაკლი `კავკასიური ცარცის წრე~; კინოფილმი `მიმინო~.

3. ირონიულად ნათქვამი, მოძველებული სიტყვები, ვულგარიზმები და ბარბარიზმები:

მოულოდნელად თავისი ‘დულსინეა~ შენიშნა;

‘სტროიკაზე~ შეხვდნენ ერთმანეთს;

რაღაცაზე ‘კაიფობდნენ~.

სავარჯიშოები:

I. დასვით სასვენი ნიშნები:

1. ფილმი მონანიება ძალიან პოპულარულია
2. მისი ღადაობა არ მომწონს
3. გაზეთი ქრონიკა არ წამიკითხავს
4. ის ხშირად იმეორებდა ვაფშეს და ოქეის
5. სპექტაკლი კავკასიური ცარცის წრე წარმატებით იდგმება სხვადასხვა ქვეყნის სცენაზე
6. ნუ ჟულიკობ, ვახტანგ

14. მძიმე

ა. მძიმე განკერძოებულ განსაზღვრებასთან

განკერძოებული განსაზღვრება წინადადებაში ცალკე თუ თავისი თანმხლები სიტყვებით მძიმეებით გამოიყოფა (როცა შუაშია) ან მძიმით (როცა თავშია ან ბოლოში). განკერძოებული განსაზღვრება იძლევა დამატებით ინფორმაციას. იშვიათად, განკერძოებულ განსაზღ-ვრებასთან შეიძლება დაისვას ორწერტილი ან ტირე:

ეკა, მუშაობისაგან დაღლილი, ისვენებდა.

სავარჯიშოები:

I. დასვით მძიმეები

1. ლამაზი გოგოები ჯინსის შარვლებში გამოწყობილები უნივერსიტეტში მოვიდნენ.
2. ლუკამ საშინლად აღელვებულმა და გაფითრებულმა ლუკმაც ვერ გადაყლაპა.
3. საბა ფიქრებში გართული ტიროდა.

4. ბავშვები შეშინებულნი და დასველებულნი შინ დაბრუნდნენ.
5. ერეკლე ღრმად ჩაფიქრებული ხმას არ იღებდა.
6. მოხუცებული გიორგი ჯერ კიდევ მხნე და მხიარული შვილიშვილებს ზრდიდა.
7. მე ამ ამბით დაიმედებული კარგ ხასიათზე ვიყავი.
8. ხალხი ცოტა ხნის შეშინებული ახლა გახარებული იყო
9. დათოს ტახტზე წამოწოლილს არაფერი ესმოდა.

II. დასვით მძიმეები:

1. აქვე იდგა ორი მეგობარი თავჩაღუნული და დაბნეული
2. ნაძვი მაღალი და მარადმწვანე ამ ბაღის მშვენებაა
3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პირველ უნივერსიტეტს საქართველოში მალე ასი წელი შეუსრულდება
4. ბევრი ახალგაზრდა თამამი და პროგრესულად მოაზროვნე ახალ რექტორს ესაუბრებოდა
5. მასწავლებელს ბავშვების აღმზრდელს მუდამ ბევრი საქმე აქვს.
6. დედა მუდამ დაკავებული და საქმიანი ბავშვებსაც დიდ დროს უთმობდა.

III. დასვით მძიმეები:

1. ზამთრისათვის კარგი ამინდი იყო მზიანი უქარო
2. უპატრონო ბავშვი დაღლილი და მშიერი ხმას ვერ იღებდა
3. თამარი ქართველთა საამაყო მეფე ძლიერი პიროვნება იყო
4. ვაშლი მეტად გემრიელი და სასარგებლო ბევრ ადამიანს უყვარს
5. ლელა ნათიაზე უფრო დაბალი ხმამაღლა საუბრობდა
6. სერგი ბუნებით შრომისმოყვარე ადამიანი ახლა თურქეთში ცხოვრობს
7. ზაზა შენი ნათესავი ბათუმში გაემგზავრა

ბ. მძიმე დანართთან

დანართი ცალკე თუ თავისი მხლებელი სიტყვებით წინადადებისაგან გამოიყოფა მძიმეებით (როცა შუაშია), მძიმით (როცა თავშია ან ბოლოში).

დანართი სახელით გადმოცემული წინადადების რო-მელიმე წევრის შესახებ დამატებითი ცნობის შემცველი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფია, რომელიც მისამართ წევრთან შეერთებულია პაუზით ან საგანგებო საკავშირებელი სიტყვით.

თქვენ, მხატვრები, ყველაფერს თქვენებურად აღიქვამთ.

ასახსნელ-განსამარტავ წევრებთან დანართის დასა-კავშირებლად გამოყენებულია ან კავშირები, ან კავშირის ფუნქციით გამოყენებული სიტყვები და ნაწილაკები:

ესე იგი (ე. ი.), ანუ, თუნდაც, როგორც, განსაკუთრებით, სახელდობრ, მაგალითად, ვთქვათ, უმთავრესად, კი, მეტადრე, ისიც, -ც, სიგრძით, სპეციალობით, წოდებით, სახელად, მეტსახელად, გვარად, ტომით, მოდგმით, წარ-მოშობით, ეროვნებით და ა. შ.:

მაშინ ლაშა, ანუ ჩემი ქმარი, უცხოეთში სწავლობდა.

დანართი წინადადებაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს გაუვრცობლად (ე. ი. ცალკე ერთეულად). მაგალითად:

მეზობლები ჩემს უფროსს, რამაზ აბაშიძეს, არ იცნობდნენ;

ან გავრცობილად (მომყოლი სიტყვებით ან სიტყვით):

გამოჩნდა ნანა, ჩემი მეგობრის და.

ზოგჯერ დანართი შეიძლება ტირეთი ან ფრჩხილებით გამოიყოს.

სავარჯიშოები:

I. დასვით მძიმეები დანართთან:

1. თეა გვარად ლორთქიფანიძე მიმღები განყოფილების თანამშრომელი გამოცხადდეს დირექტორთან
2. ჩვენთვის ამ ორგანიზაციის წარმომადგენელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს გადაწყვეტილებას
3. თქვენ ახალმოსულებმა დაიცავით სიჩუმე
4. მეც როგორც ჯგუფის წევრს მაქვს ჩემი აზრი განსახილველი საკითხის შესახებ
5. დეკანს როგორც თანამდებობის პირს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა
6. მასპინძლის ქალიშვილი პროფესიით ექთანი ეზოში იდგა
7. თამარი ესე იგი შენი მეზობელი შესანიშნავი ქალია
8. ხათუნას ერთადერთი მეგობარი ჰყავდა სახელად ირმა.
9. მოსახლეობის ერთ ნაწილს კერძოდ ექიმებს ეს კანონი დაეხმარება.
10. ზაალს წარმოშობით ზუგდიდელს ძალიან უყვარდა თავისი მშობლიური ქალაქი.

II. ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩასვით წინადადებაში დანართად და დასვით სათანადო სასვენი ნიშნები:

1. ყურძნის ბევრი ჯიში ძალინ კარგად ხარობს კახეთში. (მაგალითად რქაწითელი)

_____

_____

_____

2. ავტომობილის შესაძენად ფულს ვაფროვებ. (ანუ მანქანის)

_____

_____

3. სეზონური დაავადებასთან საბრძოლველად საჭიროა ფინანსები. (სახელდობრ გრიპთან)

_____

_____

4. ეს საჩუქარი თქვენმა კოლეგამ გამომატანა (ომარ ჯავახიშვილმა)

_____

_____

5. დემეტრე ქირია სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა იყო. (ჩვენი მეგობრის ვაჟი)

_____

_____

_____

6. ჩემს მეგობრებს ძალიან მოსწონთ მისი ყვავილები. (განსაკუთრებით უცხოელებს)

_____

_____

7. ლილის სტუმარი ინგლისურად თავისუფლად ლაპარაკობდა. (ეროვნებით აზერბაიჯანელი)

_____

_____

8. მე თქვენმა წინადადებამ დამაინტერესა. (როგორც პროფესიით მასწავლებელი)

_____

_____

_____

9. შეხვედრის შემდეგ ყველა გავიდა შენობიდან. (ფირმის დირექტორიც კი)

_____

_____

III დასვით მძიმეები

1. მარადმწვანე ნარგავების მაგალითად ნაძვის მოჭრა აკრძალულია.
2. ჩემი შვილი გიორგი გერმანიაში ცხოვრობს.
3. ეს ნოდარია გოჩას უფროსი ძმა.
4. გია პროფესიით მეტყევე მარნეულში ცხოვრობდა.
5. დაჩი როგორც ჩვენი მეზობელი აუცილებლად უნდა დავპატიჟოთ.
6. ნანას ერთი ძმა ჰყავს სახელად გურამი.

გ. მძიმე განკერძოებულ გარემოებასთან

განკერძოებული გარემოება თუ წინადადების თავში ან ბოლოშია, მძიმით გამოიყოფა, ხოლო თუ წინადადების შუაშია, მძიმეებით გამოიყოფა. მაგ.:

ჭიშკართან, ქუჩის ბოლოს, ვარდი ყვაოდა. სამი დღის შემდეგ, შებინდებისას, მგზავრებიც გამოჩნდნენ. მხოლოდ ზურა დარჩა აქ, ამ განყოფილებაში.

სავარჯიშოები:

I. ჩასვით წინადადებაში განკერძოებული გარემოება და დასვით მძიმეები:

1. გაზაფხულზე თეკლა გასტროლებზე მიდის. (მაისში)

   _____

   _____

2. ზეგ საქმე მაქვს, ვერ მოვალ. (3 საათზე)

   _____

3. აივანზე დავდგათ ეს ყვავილი. (მოაჯირთან)

   _____

   _____

4. ყოველ ზაფხულს მდინარის ნაპირას ვისხედით. (საღამოობით)

   _____

   _____

5. მაია ამ კორპუსში ცხოვრობს. (ბოლო სართულზე)

   _____

   _____

6. იქვე მატარებლის გაჩერება იყო. (ორ კილომეტრში)

   _____

   _____

II. დასვით მძიმეები:

1. ლიხს იქით დასავლეთში ბევრი მდინარეა.
2. გუშინ ადრიანად მარია მესტუმრა.
3. მთელი საღამო ხუთიდან ათ საათამდე ტელევიზორს ვუყურებდი.
4. სიღნაღში ამ პატარა ქალაქში ტურისტები ისვენებენ.
5. წლის დასაწყისში იანვარში სამოქმედო გეგმა დავსახეთ.
6. უცბად დაქორწინდნენ ყველასთვის მოულოდნელად.
7. მურმანმა ხმამაღლა თუმცა მშვიდი ხმით გვიამბო მომხდარი.
8. ზაფხულში აქ ტყის პირას უამრავი ყვავილი ხარობს.
9. ნინომ დაუფიქრებლად წამოიძახა რაღაც დაუგეგმავად
10. სამი თვის წინ აპრილში შვედეთში ვიყავი.
11. მეორე დღეს ზუსტად იმავე დროს სახლში ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი.

დ. მძიმე გარდა და მიუხედავად თანდებულიან სახელებთან

სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართული **გარდა** და **მიუხედავად** თანდებულიანი გამოთქმები თუ წინადადების თავშია, ორივე მხრიდან მძიმით გამოიყოფა. მაგ.:

გადაცემაში, ჩვენ გარდა, კიდევ ორი სტუმარი მონაწილეობდა. ყველა საუბრობდა, ეთერის გარდა. მიუხედავად ასაკისა, ლუბა მხნედ იყო.

სავარჯიშოები:

I. დასვით მძიმეები:

1. ნატო აღარაფერზე ფიქრობდა გარდა შვილებისა.
2. სამსახურში გარდა კოლეგებისა მეგობრებიც მყავს.
3. ხვალ მიუხედავად ყველაფრისა მაინც ვაპირებ მთაში წასვლას.
4. ლექციას ხუთის გარდა ყველა სტუდენტი დაესწრო.
5. მიუხედავად სიცივისა სასეირნოდ მაინც წავედით.
6. კახას მუშაობის გარდა გართობაც უყვარს.
7. ბიძაჩემს მიუხედავად ყველაფრისა ბედნიერი ცხოვრება აქვს.
8. მიუხედავად პრობლემებისა ლეილა ბედნიერი იყო.
9. ჩვენ უპირველეს ყოვლისა განრიგი უნდა შევადგინოთ.
10. პირველ ყოვლისა ნინო დედაა.

ე. მძიმე ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებთან

ჩართული გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას წინადადებაში გამოთქმულ ძირითად აზრთან, აფასებს გამონათქვამს.

ჩართული გამოიყოფა მძიმით ან მძიმეებით. ჩართული გვხვდება წინადადების თავში, ბოლოში ან შუაში.

ა) ჩართული გვიჩვენებს, რომ მთქმელი დარწმუნებულია გამოთქმული აზრის სიმართლეში:

რა თქმა უნდა; ცხადია; რამდენადაც მახსოვს; მე რომ მკითხოთ; რასაკვირველია; არც მეტი, არც ნაკლები; ბოლოს და ბოლოს...

ბ) აზრი მიჩნეულია საეჭვოდ, გადმოსცემს მთქმელის ვარაუდს:

ვგონებ; ვვარაუდობ; მგონი; რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს; ჩანს; ალბათ არ იყოს; თუ არ ვცდები; ვინ იცის; ასე თუ ისე; ერთიც ვნახოთ; ვფიქრობ...

გ) ხდება რაიმე ფაქტის შეფასება, განზოგადება:

ჩვეულებისამებრ; წესისამებრ; ბუნებრივია; ჩვეულებრივ; როგორც წესი; როგორც ვიცით; საზოგადოდ; როგორც ხშირად ხდება ხოლმე; საერთოდ; მოსალოდნელია; სავარაუდოდ...

დ) გამოხატავს მთქმელის მიერ გამოთქმული აზრის შეფასებას:

საბედნიეროდ; სამწუხაროდ; ბედად; რაღაც ეშმაკად; ღვთის შეწევნით;

ჩემდა ბედად; რა ვქნა; მტრისას...

ე) დასახელებულია აზრის წყარო:

დაუზუსტებელი ინფორმაციით; როგორც ამბობენ; ჩემი აზრით; რომ იტყვიან; ამბობენ; მისი წარმოდგენით; გაზეთების ცნობით; დაზუსტებული ინფორმაციით...

ვ) უჩვენებს მთქმელის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი:

უფრო ზუსტად; უფრო სწორად რომ ვთქვათ;

ასე ვთქვათ; უფრო სწორად...

ზ) მიემართება თანამოსაუბრეს, იპყრობს მის ყურადღებას:

ნუ გაგიკვირდებათ; თუ გნებავთ; როგორც გეტყობათ; ასე განსაჯეთ; შენ ხარ ჩემი ბატონი...

თ) გამოყენებულია წინამავალი და მომდევნო აზრების ლოგიკური თანამიმდევრობით დასალაგებლად:

ჯერ ერთი, ... თანაც; ერთი სიტყვით; ამრიგად; როგორც მოგახსენეთ; მოკლედ; მით უმეტეს; მაგალითად; პირიქით; სხვათა შორის...

ი) ჩართულია საალერსო სიტყვები და ფიცილის ფორმულები:

გენაცვალე; შენი ჭირიმე; დედაშვილობამ; ძმობამ; გეფიცები...

სავარჯიშოები:

I. დასვით მძიმეები:

1. სიახლე ბუნებრივია მალე მოედო სოფელს.
2. რა თქმა უნდა მოვალ.
3. ცხადია უკეთეს შედეგს ველოდი.
4. პირიქით ყველასთვის კარგი რამ მოხდა.
5. ნათია გენაცვალე რატომ აგვიანებ?
6. როგორც მოგეხსენებათ ეს ბავშვები სკოლას ამთავრებენ.
7. მე თუ მკითხავთ, ვითარება არ შეცვლილა.
8. არც მეტი არც ნაკლები ჩემი საქმრო გამოჩნდა.
9. ყოველ შემთხვევაში ექიმი ასე ფიქრობს.
10. თინათინი თავისთავად საუკეთესო კანდიდატია.

II. დასვით მძიმეები:

1. მგონი აქ პრობლემები გვაქვს.
2. არა მგონია ეს ჩემი გადასაწყვეტი იყოს.
3. ჩანს ნოდარს უნდა დაველაპარაკო.
4. სტუმარი ცოტა არ იყოს დაიბნა.
5. ეტყობა თქვენ არ მეთანხმებით!
6. როგორც ვატყობ თქვენ სხვა აზრზე ხართ.
7. სტუდენტები როგორც ჩანს არ მოდიან.
8. თქვენ თუ არ ვცდები ესმას ელოდებით.
9. მე ჩვეულებრივ გვიან ვვახშმობ.

10. ბატონი ვახტანგი როგორც წესი ხმადაბლა საუბრობს.
11. როგორც ვიცით აქ ყველა Eერთმანეთის ნათესავია.
12. პარტიებმა როგორც ცნობილია უკვე გაავრცელეს ინფორმაცია.
13. ეს ისტორია სამწუხაროდ მთელმა თბილისმა გაიგო.
14. საბედნიეროდ ყველამ დარეკა .
15. რატი ღვთის მადლით მალე მოვიდა.
16. ჩემი აზრით თენგიზს ეს არ უნდა გაეკეთებინა.
17. ილია ჭავჭავაძის აზრით პოეტი ხალხს უნდა დაეხმაროს.
18. გაზეთების ცნობით ამ წამოწყებას ბევრი მომხრე ჰყავს.

ვ. მძიმე მიმართვასთან, მიგებით ნაწილაკებსა და შორისდებულებთან

მიმართვა ასახელებს მას, ვისკენაც არის მიმართული საუბარი:

ქალბატონებო, მომისმინეთ!

ა) წინადადების თავში მოქცეული მიმართვის შემდეგ იწერება მძიმე, თუ იგი დიდი გრძნობით არ არის წარმოთქმული. მაგ.:

თეკლა, შენ ხარ?

(დიდი გრძნობით წარმოთქმულ მიმართვასთან ძახილის ნიშანი იწერება).

ბ) მიმართვა, რომელიც წინადადების შუაშია მოქცეული, მძიმეებით გამოიყოფა:

მჯერა, ქალბატონო მარიამ, თქვენ მართალი ბრძანდებით!

გ) თუ წინადადება მიმართვით მთავრდება, მის წინ მძიმე იწერება, ბოლოში კი წინადადების შესატყვისი ნიშანი:

რა გინდა, თამაზ?!

* * *

მიგებითი ნაწილაკი ორგვარია: დადასტურებითი (*ჰო, კი, დიახ*) და უარყოფითი (*არა, ვერა*). თუ წინადადებაში მიგებითი ნაწილაკები და შორისდებულები დიდი გრძნობით არ არის წარმოთქმული, მძიმით გამოიყოფა. თუ დიდი გრძნობით _ ძახილის ნიშნით. მაგ.:

არა, არ მინდა! _ უთხრა ლიამ.

ოჰ, როგორ დავიღალე!

სავარჯიშოები:

I. დასვით სასვენი ნიშნები:

_ ლერი მოდი ჩემთან ლერი გესმის

_ რა ხდება

_ მოდი ბიჭო მომეხმარე

II. დასვით სასვენი ნიშნები:

_ ლექსო მალე მოხვალ

_ არა დაახლოებით ერთ საათში შენთან ვიქნები.

_ წიგნები მოგაქვს

_ ვერა ბიბლიოთეკაში წასვლა ვერ მოვახერხე.

_ ახლა სახლში ხარ

_ არა უნივერსიტეტში ვარ.

_ მოდი პურიც შენ მოიტანე.

_ არა არ შემიძლია, ფული არ მაქვს.

_ კარგი ბატონო გასაგებია

III. დასვით სასვენი ნიშნები:

_ ვაიმე როგორ დავიღალე

_ კარგი ოთარ დაისვენე.

_ არა არა მირჩევნია დავამთავროთ საქმე

_ ჩემო კარგო ჯერ კიდევ ბევრი საქმე გვაქვს.

_ საღამო მშვიდობისა მეზობლებო!

_ დილა მშვიდობისა ირინე როგორა ხარ

_ კარგად კარგად როდის მოხვედით

_ კარგა ხანია აქა ვართ

_ წასვლას აპირებთ

_ არა ჯერ არა

ზ. მძიმე შერწყმულ წინადადებაში

შერწყმულ წინადადებაში მძიმე დაისმის, როცა გვაქვს რამდენიმე ერთგვარი წევრი უკავშირო შერწყმულ წინადადებაში:

I. რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან:

ვკერავ, ვქსოვ, ჩემს თავს თვითონ ვუვლი.

II. რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმენელთან:

ქობულეთში ბინები, სასტუმროს ნომრები და კერძო სახლები ქირავდება.

III. რამდენიმე დამატება ერთ შემასმენელთან:

ბებიამ ჩურჩხელა, ტყლაპი და ჩირი გამომიგზავნა.

IV. რამდენიმე ერთნაირი განსაზღვრება საზღვრულ

წევრთან:

ბეჯითი, ნიჭიერი, მშრომელი ახალგაზრდა ყველას უყვარდა.

V. რამდენიმე ერთი და იმავე შინაარსის გარემოება ერთ საერთო წევრთან:

ნინო მოხდენილად, ლამაზად, მოდურად იცვამდა.

კავშირიან შერწყმულ წინადადებაში მძიმე დაისმის:

I) შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრების გამოსაყოფად მაჯგუფებელი კავშირის მნიშვნელობით გამოყენებული გაძლიერებითი **კიდეც** ნაწილაკის წინ, თუ იგი გამეორებულია:

ნანა კიდეც უკრავს, კიდეც მღერის.

II) *არც...არც..., აღარც...აღარც..., ველარც...ველარც..., ნურც...ნურც*... წყვილი ნაწილაკების წინ

ეს არც რექტორის, არც დეკანის, არც დეკანის მოადგილის გადაწყვეტილება არ ყოფილა.

III) მაჯგუფებელი კავშირების მნიშვნელობით გამოყენებული კავშირების წინ: *როგორც ... ისე, არა მარტო... არამედ, არა თუ... არამედ* და სხვა. წყვილის მეორე ცალის წინ მძიმე დაისმის:

შენ როგორც გინდა, ისე მოიქეცი!

IV) *ხან...ხან, ან...ან, გინდ...გინდ, თუნდ...თუნდ კავშირების* წინ, თუ მაკავშირებელი სიტყვა მეორდება. მაგ.:

ხან მტკივა, ხან მიყუჩდება.

ან ვიყიდი, ან ვიქირავებ.

V) *მაგრამ, ოღონდ, ხოლო, თუმცა, არ...არამედ, კი არ ... არამედ კავშირების* წინ. მაგ.:

ყველა დასაძინებლად წავიდა, ხოლო მასპინძელი სუფრის ალაგებას შეუდგა.

VI) შესადარებლად გამოყენებულ კავშირებთან _ *როგორც, თითქოს, ვიდრე,* როცა ისინი წინ უძღვიან შესადარებელ სიტყვას.

ეკა, როგორც შველი, ისე დადიოდა.

VII) როცა წინადადებაში სიტყვები ზედიზედ მეორდება, განმეორებულ სიტყვებს შორის მძიმე დაისმის:

გაისად ჩამოვალთ, ნამდვილად ჩამოვალთ!

თუ შერწყმული წინადადების ერთგვაროვანი წევრების შესაერთებლად გამოყენებულია კავშირები `და, `თუ, `ან, მძიმე არ დაისმის მათ წინ;

ის მიდიოდა და რაღაცაზე ფიქრობდა. Dდიდი თუ პატარა აღლვებული იყო. დედაჩემთან ან მამაჩემთან ერთად მივემგზავრები.

სავარჯიშოები:

I. დასვით სავენი ნიშნები:

1. ლელა ხან იცინოდა ხან ტიროდა.

2. დედამ მამამ და ბებიამ საჩუქარი მომიმზადეს.
3. მაღალი ლამაზი გამხდარი გოგონა ქუჩაში მიდიოდა.
4. ისინი მოვიდნენ მაგრამ დაგვიანებით.
5. ხელში მეჭირა ყვავილები შოკოლადი და წვენი.
6. ამ ამბავმა შეგვაშფოთა არა მარტო ჩვენ არამედ სხვებიც.
7. პოლონეთი რუმინეთი და ბულგარეთი ევროკავშირის ქვეყნებია.
8. ან კაბა უნდა იყიდო ან ჯემპრი.
9. ბავშვები დარბოდნენ ცელქობდნენ ხმაურობდნენ არ ისვენებდნენ
10. ვარდი ზამბახი ქრიზანთემა და იასამანი ლამაზი ყვავილებია.
11. ეს შარშან კი არ მოხდა არამედ ხუთი წლის წინ.
12. დადარდიანებული დაღლილი ძალაგამოცლილი ელისაბედი ფანჯრიდან იყურებოდა.
13. არც დედა არც მამა არც ბებია შინ არ იყვნენ.
14. ბებია როგორც კლდე ისე ედგა ობოლ შვილიშვილს.
15. აკაკი ფიქრობდა პრობლემებზე გაჭირვებაზე სამსახურზე შვილებზე.
16. ბათუმში ზაფხულობით კაფეებში ბარებსა და რესტორნებში ტევა აღარაა.

17. სამართლიანად შეუპოვრად მტკიცედ იცავდა თავის პოზიციას.
18. ბაგრატი როგორც სპორტსმენი ძალიან ჯანმრთელი იყო.
19. ნურც ხმას ამოიღებ ნურც სხვას ათქმევინებ რამეს.
20. ეს ისტორია კარგად მახსოვდა თუმცა დავიწყებას ვცდილობდი.
21. მშიოდა მაგრამ საჭმლის მომზადება მეზარებოდა.
22. როგორც გინდა ისე მოიქეცი.
23. არა მარტო სტუდენტები არამედ პროფესორებიც აფორიაქდნენ.
24. მე ვერ მოვალ მაგრამ ერეკლეს გამოვუშვებ.

თ. მძიმე რთულ წინადადებაში

ა. მძიმე რთულ თანწყობილ წინადადებაში

მძიმე დაისმის კავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში:

ა) მაცალკევებელი კავშირების ***ან ... ან, ხან ... ხან***-ის წინ, გარდა პირველად ხმარებულისა (თუ **და** კავშირი არ არის გამოყენებული):

ხან მამშვიდებდა, ხან მეჩხუბებოდა.

ბ) მაპირისპირებელი კავშირების ***მაგრამ, ხოლო***-ს წინ:

შემპირდა, მაგრამ პირობა არ შეასრულა.

გ) მძიმე არ დაისმის მაპირისპირებელი კავშირის - **კი**-ს წინ, არამედ იწერება წინადადებათა საზღვარზე:

ეკამ საკუთარი პროექტით აიშენა სახლი, ერეკლემ კი არქიტექტორს მიმართა.

ბ. მძიმე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მძიმე დაისმის:

ა) მთავარი წინადადების შემდეგ, როცა მას მოსდევს დამოკიდებული წინადადება:

ხვალ შეხვედრაზე უნდა წავიდე, რათა საკითხი საბოლოოდ გადავწყვიტოთ.

ბ) დამოკიდებული წინადადების შემდეგ, როცა მას მოსდევს მთავარი წინადადება:

მე რომ მოვედი, დედაჩემი წასული იყო.

გ) როცა დამოკიდებული წინადადება მოქცეულია მთავარი წინადადების შიგნით, ორივე მხრიდან მძიმეებით გამოიყოფა:

ოფისში, სადაც მე ვმუშაობ, უახლესი აპარატურაა დამონტაჟებული.

მიაქციეთ ყურადღება:

1) უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში, რომელშიც გამოტოვებულია ***რომ*** ან ***თუ***, დამოკიდებული წინადადება მთავრისაგან მძიმით გამოიყოფა:

ემერაბმა გადაწყვიტა, (რომ) ევროპაში მიეღო განათლება.

2) ***რომ*** კავშირის წინ მძიმე მაშინ დაისმის, როცა ის იწყებს დამოკიდებულ წინადადებას:

თეას უნდა, რომ ახალი მანქანა იყიდოს.

მაგრამ, თუ ის არ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, **რომ** კავშირის წინ მძიმე არ დაისმის. მაშინ მძიმე იწერება მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის:

ჩემთვის რომ გეთქვა, რამეს გირჩევდი.

მძიმე არ იწერება: ***რომ, თუ, ვინც, რაც, როცა*** და სხვა კავშირების წინ, როცა ისინი დამოკიდებული წინადადების შიგნითაა გამოყენებული:

Nნინო როცა მოვა, აუცილებლად დაგირეკავ

მე თუ გადავწყვეტ, აუცილებლად გაგაგებინებ

ლალი რომ იქ მოსულიყო, მერაბი არ წავიდოდა.

სავარჯიშოები:

I. დასვით მძიმეები:

1. ნუგზარმა გვიამბო ისტორია რომელმაც ყველა დაგვაფიქრა.
2. მამაჩემი მაშინ ჩამოვიდა როცა ყველას გვეძინა.
3. ევამ და მისმა კოლეგებმა რომლებმაც კერძო სკოლა გახსნეს შენობა იყიდეს.
4. თუ დავარწმუნეთ ლექტორი რომ დავალება რთული იყო კიდევ ერთხელ აგვიხსნის.
5. მამიდაჩემთან მივდივარ რათა ნუცა მოვინახულო.
6. იმავე ისტორიაზე საუბრობს პიროვნება რომელმაც თავისი თვალით დაინახა ყველაფერი.
7. სკოლაში ვერ წავედი რადგან ავად ვიყავი.
8. თუ ეს არ მოხდება მაშინ ჩვენს საქმიანობას აზრი არა აქვს.
9. ტელეკომენტატორი აცხადებს რომ საქართველოში ხვალიდან დათბება.
10. აღმოჩნდა რომ გელა მართალი იყო.
11. სადილი რომელიც დედამ მოამზადა ძალიან გემრიელი იყო.

12. როცა მოხვალ მაშინ მოგიყვები.
13. პეტრე დარწმუნებულია რომ სამსახურს იშოვის.
14. ერეკლე მიხვდა რაშიც იყო საქმე.
15. ხვალ ბაზარში წავალ რათა პროდუქტები შევიძინო.
16. იმედს გამოვთქვამთ ამინდი აღარ გაფუჭდება.
17. ჯერ ვერ გეტყვით როგორ დასრულდება შეხვედრა.
18. ეს რომ გაიგო მაშინვე შეცვალა გადაწყვეტილება.
19. სკოლას რომ დავამთავრებ სწავლას გერმანიაში განვაგრძობ.
20. თავის ეზოში რომ შევიდა თავი მშვიდად იგრძნო.
21. დედამ გაიგო რომ მისი შვილი სკოლაში არ მისულა.
22. უნივერსიტეტთან რომ მივიდნენ მეგობრები დაინახეს.
23. ფატიმ მეგობრებს შესთავაზა წასულიყვნენ კინოში.
24. ის ვინც გაკვეთილი არ იცის ხვალ მოვიდეს.
25. ლექსომ კარგად იცოდა აქ რომ დარჩენილიყო მისი საქმე სულ სხვაგვარად წავიდოდა.
26. სახლი რომელიც პაპაჩემის აშენებულია ქალაქის ცენტრში დგას.
27. როცა დაზამთრდება ბუხარს ავანთებთ.
28. ლეციაზე დამაგვიანდა რადგან ავტობუსი არ მოვიდა დროზე.
29. მე მეგონა რომ თეკლა შინ იყო.

30. მალხაზმა რომ დარეკა მე სამსახურში ვიყავი.

15. სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა

სხვათა სიტყვის ნაწილაკებია: ***-მეთქი, -თქო, -ო.*** -***მეთქი*** და -***თქო*** დეფისით გამოიყოფა ზმნისგან, ხოლო ***ო*** ზმნასთან ერთად იწერება. სხვათა სიტყვის ნაწილაკები, ჩვეულებრივ, შესაბამის ტექსტში გამოიყენება ერთხელ და უპირატესად დაერთვის სხვისი ნათქვამის ბოლო სიტყვას, უმჯობესია _ ზმნას.

-***მეთქი*** I პირის ნათქვამს დაერთვის, ანუ როცა I პირი იმოწმებს თავისსავე ნათქვამ სიტყვებს:

ხომ მოგწერე, გიყიდე-მეთქი.

გელოდები-მეთქი! - დავურეკე მას (და არა: ***<u>გელოდები-თქო</u>***!)

-***თქო*** ნაწილაკი აღნიშნავს I პირის ნათქვამს, რომელიც II პირმა უნდა გადასცეს III პირს (-***თქო*** არასოდეს დაერთვის II პირის უკვე ნათქვამ სიტყვებს. ამ შემთხვევაში -***ო*** გამოიყენება):

ნინოს უთხარი, ბებია გეძახის-თქო

-ო გამოიყენება მაშინ, როდესაც პირველი პირი მესამე პირის ნათქვამს გადმოსცემს:

ნინომ დაიბარა, ხვალ ვნახავო.

სავარჯიშოები:

I. გახაზეთ სწორი ფორმა:

1. ვოცნებობდი, ნეტავ ეს არ მომხდარიყო-მეთქი.

ვოცნებობდი, ნეტავ ეს არ მომხდარიყო-თქო.

2. ხომ ვამბობდით, არ დაგვირეკავენ-თქო.

ხომ ვამბობდით, არ დაგვირეკავენო.

3. გეუბნებოდი, მაგას ნუ ამბობ-მეთქი.

გეუბნებოდი, მაგას ნუ ამბობ-თქო.

4. შენ ხომ დაგვპირდი, აუცილებლად მოვალ-თქო.

შენ ხომ დაგვპირდი, აუცილებლად მოვალო.

5. ლუკას ვუთხარი, დღეს მოვალ-თქო.

ლუკას ვუთხარი, დღეს მოვალ-მეთქი.

6. ლაშას გადაეცი, ზეგ გელოდებიო.

ლაშას გადაეცი, ზეგ გელოდები-თქო.

II. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით -მეთქი, -თქო ან -ო ნაწილაკი:

ეთერს უთხარი, ნუცა მალე მოვა.....

თამარი ამბობდა, არაფერი გამოვა.....

ნინო გვთხოვდა, დამიწერეთ.....

გეუბნებოდით, ისინი სანდო ადამიანები არიან.....

შენს მეგობარს უთხარი, უნივერსიტეტთან მოდი.....

ელისაბედი ხომ დაგვპირდა, ხვალ შეგხვდებით.....

III. გაასწორეთ შეცდომები:

1. ნანას უთხარი, ხვალ მოდიანო.
2. გავიფიქრე, კიდევ კარგი, ვერავინ დამინახა-თქო.
3. ეკა ამბობდა, ხვალ მოვალ-მეთქი.
4. ვამბობდი, გამოცდას ვერ ჩავაბარებ-თქო.
5. ლევანმა დარეკა, ვერ მოვალ-თქო.
6. ჩვენ გიმტკიცებდით, არ მომხდარა-თქო.
7. რამდენჯერ მითქვამს ნესტანისათვის, ნუ ხარ ასეთი მორიდებული-თქო.
8. თქვენ ამტკიცებდით, პრობლემას ვერ გადავწყვეტთ-თქო.
9. უთხარი, შენთვის არც ჰო მითქვამს და არც არაო.
10. შეგვეშინდა, უცხო ქალაქში არ დავიკარგოთ-თქო.
11. შენს მეზობელს უთხარი, არ დაგავიწყდეს, ვალი გაქვს გადასახდელიო.
12. შენ დაგიბარებია, ნურავინ შემაწუხებს-თქო.
13. ჩვენ არაფერი გვემუქრება-თქო, _ თავს ვინუგე-

შებდით.

14. ხომ გეუბნებოდი, აუცილებლად დაგირეკავ-თქო.
15. ჩვენს მეგობარს მივწერეთ, სოფელში გელოდებით-თქო.
16. თქვენ ხომ გვიმტკიცებდით, ცდა შედეგს არ მოგ-ვიტანს-თქო.
17. სულ იმას ვამბობდი, მაგის პოეზია მიყვარს-თქო.
18. თამაზი ამტკიცებდა, ეს ჩემი ბრალი არ არის-თქო.
19. შევძახე, სტუმრები მოვიდნენ-თქო.
20. შენ მითხარი, ქეთევანის გარდა ვეღარავის ვხედავ-თქო.
21. მანანამ მითხრა, ხვალ ქორწილში მივდივარ-თქო.
22. ლელამ დამაბარა, დედაშენმა დამირეკოს-თქო.
23. კიდევ ერთხელ გიმეორებ, მაგ საქციელით ვერაფერს ვერ მიაღწევ-თქო.
24. ერთხელ ხომ მითხარი, ჩემს შვილს გამოვუშვებ-თქო.
25. თქვენ გვწერდით, შარშან ბევრი ტურისტი ჩამოვიდა-თქო.
26. გივიმ დაგვირეკა, საღამოს ჩემთან გელოდებით-თქო.

გამოყენებული ლიტერტურა

ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა; თბ., 2004

ქ. გოჩიტაშვილი, ნ. დანელია, ქართული ენის პრაქტიკული კურსი; თბ., 2006

დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები; თბ., 2008

ჭ. ქირია, ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის საკითხები და ორთოგრაფიულ სირთულეთა ლექსიკონი; თბ., 2009

გამომცემლობა

„მერიდიანი“